ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი

2

2013

(მაისი)

რედაქტორები:	გიორგი სანიკიძე
	ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:	მირანდა ბაშელეიშვილი
	თამთა ბოკუჩავა
	მარიამ გურეშიძე
	სიმონ გურეშიძე
	ინგა ინასარიძე
	თინათინ კუპატაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
მისამართი: აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი
ტელ./ფაქსი: (+995 32) 223 31 14
ელ–ფოსტა: giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge
http://www.iliauni.edu.ge

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში
(წინასაარჩევნო ვითარება) 4

მირანდა გაშელეიშვილი

ირანისა და აზერბაიჯანის ურთიერთობა ბირთვული
კრიზისისა და საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე 11

თინათინ კუპატაძე

ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის
საკითხი ირანში 15

ინგა ინასარიძე

არაბული ქვეყნები „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ:
პირველი შედეგები 23

სიმონ გურეშიძე

„ძმები მუსლიმები“ და კოპტები 28

მარიამ გურეშიძე

სირიის სამოქალაქო ომი და დაძაბულობის
ესკალაცია რეგიონში 32

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში
(წინასაარჩევნო ვითარება[1])

2013 წლის 14 ივნისს ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მეთერთმეტედ იმართება საპრეზიდენტო არჩევნები.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს დაახლოებით 50 მილიონზე მეტ ირანელს, აქედან პირველად ხმას აძლევს 1,6 მილიონი ახალგაზრდა. ირანის ტერიტორიაზე გაიხსნება დაახლოებით 60 ათასი საარჩევნო უბანი.

უცხოეთის 96 ქვეყანაში მოქმედი ირანის 128 დიპლომატიური წარმომადგენლობა გახსნის 290 საარჩევნო უბანს.

საუნივერსიტეტო ჯიჰადის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის ჰუშანგ ზაიმ–ქოჰანის თქმით, ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის რამდენიმე ეტაპის შედეგად მომავალ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ამომრჩეველთა 75%. კანდიდატთა საბოლოო სიის დადგენის შემდეგ ჩატარდება ახალი გამოკითხვა („ფარს“, 13 მაისი). მოგვიანებით დასახელდა ამომრჩეველთა აქტივობის სხვა მონაცემი, დაახლოებით 69%. როგორც საპრეზიდენტო კანდიდატები, ასევე პოლიტიკურიდა რელიგიური მოღვაწეები მოსახლეობას მოუწოდებენ, მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრის პროცესში და ამით მსოფლიოს აჩვენონ ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობა.

ბოლო ინფორმაციით, ადგილობრივი მასმედიის წარმომადგენელთა გარდა, არჩევნებს გააშუქებს 421 ჟურნალისტი 39 ქვეყნიდან. მათ უკვე გაიარეს შესაბამისი აკრედიტაცია. ამ სიაში საქართველო არ ფიგურირებს.

ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, ასევე პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწეები აღნიშნავენ, რომ 2013 წლის არჩევნები მშვიდ გარემოში ჩაივლის და არ განმეორდება 2009 წლის ივნისის მოვლენები, როდესაც არჩევნების შედეგების გამოცხადებას მოჰყვა რეფორმისტული მოძრაობის მომხრეთა პროტესტი და სერიოზული არეულობა და მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეთა შორის. მაშინ ხელისუფლებამ საპროტესტო აქციები შეაფასა ირანში „ხავერდოვანი“ რევოლუციის მოწყობის მცდელობად.

ირანის ისლამური კონსტიტუციის მეცხრე თავის 115 მუხლის თანახმად, *„რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევენ რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეების წრიდან. იგი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:*

უნდა იყოს წარმოშობით ირანელი, ირანის ქვეშევდრომი, ჰქონდეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება, უმწიკვლო წარსულით, იყოს მორწმუნე, გამოირჩეოდეს ირანის ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებისა და ქვეყნის ოფიციალური რელიგიისადმი ერთგულებით“.

რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაში, 11 მაისისათვის დარეგისტრირდა 686 მსურველი, მათ შორის 30 მანდილოსანი. სარეგისტრაციო დროის ამოწურვამდე ნახევარი საათით ადრე საკუთარი განაცხადები შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინეს „ქვეყნის მოწყობის სარეგლამენტაციო საბჭოს თავმჯდომარემ“ ალიაქბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ და მაჰმუდ აჰმადინეჟადის მძახალმა, პრეზიდენტის მრჩეველმა და „მიუმხრობელ სახელმწიფოთა

[1] მომზადებულია 2013 წლის 11 ივნისისათვის არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე.

მოძრაობის“ სამდივნოს ხელმძღვანელმა ესფანდიარ რაჰიმ მაშაიმ. მოსალოდნელი კანდიდატებიდან ასევე გვიან დარეგისტრირდა უშიშროების საბჭოს მდივანი საიდ ჯალილი.

11 მაისს მოქმედმა პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა რაფსანჯანის არჩევნებში ჩართვასთან დაკავშირებით სააგენტო „ფარს“–ს განუცხადა: „ყველანი ჩაერთონ, არაა პრობლემა, ყველა უნდა მოვიდეს“. ერთერთმა კანდიდატმა, ჰასან რუჰანიმ კი ამის თაობაზე შარიფის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში გამოსვლისას აღნიშნა: „რაფსანჯანი ბოლო წუთამდე კატეგორიულად ამბობდა, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდა. თქვენი მონა–მორჩილი და ჰაშემი შეთანხმებულად გავაგრძელებთ გზას, მაგრამ 24 ხორდადს (14 ივნისს) ერთერთი ჩვენგანი დარჩება საარჩევნო სიაში“.

21 მაისს ზედამხედველთა საბჭომ პრეზიდენტობის კანდიდატობის ღირსად მიიჩნია მხოლოდ 8 პიროვნება. ვიდრე საბჭო გამოაცხადებდა თავის გადაწყვეტილებას, მანამდე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა მრავალმა ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მათ შორის, მოქმედმა პირველმა ვიცე–პრეზიდენტმა მოჰამადრეზა რაჰიმიმ, მაჰმუდ აჰმადინეჟადის ძმამ დავუდ აჰმადინეჟადმა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა სადეყ ხალილიანმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილმა სპიკერმა რამინ მეჰმანფარასთმა, ჯანმრთელობის დაცვის ყოფილმა მინისტრმა, „სიმტკიცის ფრონტის“ („ჯეგბეეიე ფაიდარი“) ერთერთმა ლიდერმა ქამრან ბაყერი ლანქარანიმ, ირანის მეჯლისის ვიცე–სპიკერმა მოჰამად ჰასან აბუთორაბიფარდმა და სხვებმა.

აჰმადინეჟადის გუნდმა კარგად იცოდა, რომ მაშაის შეექმნებოდა პრობლემები ზედამხედველთა საბჭოში. 1 წლით ადრეც კი გამოითქმებოდა ვარაუდი, რომ საკუთარი მძახლის ლობირებით, მაჰმუდ აჰმადინეჟადი ეცდებოდა თავისი მოწინააღმდეგეების ყურადღების მაშაიზე გადატანას და მხოლოდ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე წამოსწევდა სხვა, ნაკლებად ოდიოზურ ფიგურას საკუთარი გარემოცვიდან, მაგალითად, მოჯთაბა სამარე–ჰაშემის, ალი ნიქზადს, ჰამიდ ბაყაის ან ვინმე კიდევ უფრო ნაკლებად ცნობილ პირს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

ესფანდიარ რაჰიმ მაშაი ფაქტიურად ერთადერთი პრეტენდენტი იყო, რომელიც ზედამხედველთა საბჭოს ვერდიქტის გამოტანამდე აცხადებდა, რომ მისი კანდიდატურის დაბლოკვის შემთხვევაში, კანონიერი გზებით გააგრძელებდა ბრძოლას სამართლიანობის აღსადგენად. როდესაც გაირკვა, რომ მაშაის ხსენებულმა საბჭომ არჩევნებში მონაწილეობის გზა გადაუკეტა, მაჰმუდ აჰმადინეჟადმა გამოთქვა იმედი, რომ ღვთის წყალობით მაშაის საკითხი გადაისინჯებოდა. როგორც მაშაის, ასევე ჰაშემი რაფსანჯანის შემთხვევაში, ივარაუდებოდა, რომ ქვეყნის სულიერი ლიდერი აიათოლა სეიედ ალი ხამენეი გამოიყენებდა საკუთარ უფლებას, სპეციალური განკარგულებით (ე.წ. „ჰოქმე ქოჰუმათი“ – სახელისუფლებო ბრძანება) დაეშვა არჩევნებზე რომელიმე დაბლოკილი კანდიდატი, როგორც ეს მან გააკეთა 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას, მაგრამ ლიდერმა დუმილი არჩია და ზედამხედველთა საბჭოს ხელით მოიცილა ორი ყველაზე არასასურველი საპრეზიდენტო კანდიდატი.

ალიაქბარ ჰაშემი რაფსანჯანის საბჭოს გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია. ზოგიერთი ექსპერტი და პოლიტიკოსი თვლიდა, რომ საკუთარი კანდიდატურის წამოყენებით რაფსანჯანიმ კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ რჩება ირანული პოლიტიკის ერთერთ წამყვან ფიგურად. იყო განსხვავებული მოსაზრებებიც, რაც ძირითადად მის ასაკს ეხებოდა. ექსპერტ მოჰამად ჰასან ყადირი–აბიანეს თქმით, რაფსანჯანის გაპრეზიდენტების შემთხვევაში მისი მთავრობის კაბინეტი გადაიქცეოდა მოხუცებულთა თავშესაფარად. რეფორმატორთა თანამგრძნობი ექსპერტი სადეყ ზიბაქალამი კი მიიჩნევდა, რომ გულის სიღრმეში რაფსანჯანი კიდევაც ნატრულობდა საკუთარი კანდიდატურის დაბლოკვას, რადგან მისთვის მთავარი იყო

ქვეყნისათვის მსახურების მზადყოფნის დადასტურება. აჰმადინეჟადის მომხრე ჰოჯათოლელსლამ ჰამიდ რესაი აღნიშნავდა, რომ რაფსანჯანი არჩევნებში ჩაერთო არა საბრძოლველად, არამედ საკუთარი რეანიმაციისათვის.

რაფსანჯანის სახელის მოხსენიების გარეშე ზედამხედველთა საბჭოს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ კანდიდატთა შერჩევის ერთერთი კრიტერიუმი იქნებოდა მათი შრომისუნარიანობა და გამძლეობა. საბჭოს სპიკერის აბასალი ქადხოდაის თქმით, არ შეიძლება ქვეყნის პრეზიდენტი გახდეს ისეთი პიროვნება, რომელსაც დღეში მხოლოდ 2–3 საათი მუშაობა ძალუძს. ზედამხედველთა საბჭოს მდივანმა აიათოლა ალი ჯანათიმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ შრომისუნარიანობა და მოუღლელობა უნდა იყოს კანდიდატის ერთერთი მთავარი მახასიათებელი. მან იქვე დასძინა, რომ მოქმედი პრეზიდენტის მიმართ ამ მხრივ არანაირი პრეტენზია არ არსებობს, რადგან „აჰმადინეჟადმა საკუთარი აქტიურობით თავად დაღლილობაც კი გადაღალა“.

ზედამხედველთა საბჭოს მიერ არჩევნებზე დაშვებული 8 კანდიდატი მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს:

1. მოჰამადრეზა არეფი – სეიედ მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის 2 ვადის დროს (1997–2005 წწ) ჯერ კავშირგაბმულობის მინისტრი, შემდეგ – პირველი ვიცე–პრეზიდენტი. ამ რანგში იგი 2005 წლის აპრილში იმყოფებოდა თბილისში ირან–საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომაზე, როგორც ამ კომისიის თანათავმჯდომარე. რეფორმატორი კანდიდატი.
2. ჰოჯათოლესლამ ჰასან რუჰანი – 2005 წლამდე იყო უშიშროების საბჭოს მდივანი. 2 ვადით იყო მეოთხე და მეხუთე მოწვევის ირანის მეჯლისის ვიცე–სპიკერი. ამჟამად არის „ქვეყნის მოწყობის სარეგლამენტაციო საბჭოს“ სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი და „სწავლულთა (ექსპერტთა) საბჭოს“ წევრი. 1995 წელს, როგორც მეჯლისის ვიცე–სპიკერი და 2001 წელს, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანი, იმყოფებოდა თბილისში. ამჟამად მოიაზრება, როგორც რეფორმატორი კანდიდატი, თუმცა ჩვენი აზრით ის უფრო კონსერვატორია, რომელიც გაემიჯნა ნეოკონსერვატორებს.
3. ღოლამალი ჰადად–ადელი – მეცხრე მოწვევის მეჯლისის თავმჯდომარე, სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის პრეზიდენტი, მოქმედი მეჯლისის დეპუტატი თეირანიდან. ტრადიციული კონსერვატორი, კოალიცია „2+1“ (იგივე „პროგრესის“) წევრი.
4. მოჰამადბაყერ ყალიბაფი –იყო ირანის პოლიციის უფროსი. 2005 წელს მონაწილეობდა საპრეზიდენტო არჩევნებში. იმავე წელს აირჩიეს თეირანის მერად. ამ თანამდებობაზე ყოფნის მანძილზე თეირანში განახორციელა მრავალი დიდი სამშენებლო და სოციალური პროექტი, რითაც მოიპოვა საკმაო ავტორიტეტი დედაქალაქის მოსახლეობაში. კოალიცია „2+1“ (იგივე „პროგრესის“) წევრი.
5. ალიაქბარ ველაიათი – 16 წლის მანძილზე ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი (1997 წლამდე). სულიერი ლიდერის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში. კონსერვატორი, კოალიცია „2+1“ (იგივე „პროგრესის“) წევრი.
6. საიდ ჯალილი – წლების მანძილზე ეკავა სხვადასხვა თანამდებობა საგარეო საქმეთა სამინისტროში, საიდანაც დაინიშნა ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნად. ამჟამად არის დასავლეთთან მთავარი მომლაპარაკებელი ირანის ბირთვულ საკითხებში. ითვლება რადიკალ კონსერვატორად. არჩევნებში ჩაერთო, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, თუმცა აშკარად სარგებლობს უმაღლესი სასულიერო წრეებისა და „სიმტკიცის ფრონტის“ მხარდაჭერით.

7. მოჰსენ რეზაი – გენერალი, გუშაგთა კორპუსის ყოფილი მთავარსარდალი. ამჟამად არის „ქვეყნის მოწყობის სარეგლამენტაციო საბჭოს“ მდივანი. 2005 და 2009 წლებში მონაწილეობდა საპრეზიდენტო არჩევნებში. მოიაზრება დამოუკიდებელ კანდიდატად.
8. მოჰამად ყარაზი – ნავთობის ყოფილი მინისტრი მირჰოსეინ მუსავის მთავრობაში, კავშირგაბმულობის მინისტრი ჰაშემი რაფსანჯანის მთავრობაში. რეფორმატორული ორიენტაციის დამოუკიდებელი კანდიდატია, რომელსაც, მისივე თქმით, არ გააჩნია არანაირი მატერიალური და ადამიანური რესურსი საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად.

პრეზიდენტობის 8 კანდიდატის გამოვლენის შემდეგ დაიწყო მოკლე სააგიტაციო პერიოდი, რომლის დროსაც რვავე კანდიდატი ხვდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს დედაქალაქსა და პროვინციებში, ირანის სახელმწიფო ტელევიზიამ გამართა 3 ტელედებატები 31 მაისს, 4 და 7 ივნისს ყველა კანდიდატის მონაწილეობით, სადაც ისინი წარმოადგენდნენ საკუთარ შეხედულებებს ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის, საშინაო და საგარეო პოლიტიკისა და ბირთვული პროგრამის თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კანდიდატი უკმაყოფილებას გამოთქვამდა აჰმადინეჟადის მთავრობის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს მიმართ. მათი განსაკუთრებული კრიტიკის საგანი გახდა ირანის ეკონომიკური მდგომარეობა, მოუთოკავი ინფლაცია, სიძვირე და მოსახლეობის უმეტესობის გაჭირვებული ყოფა. პრეზიდენტს ასევე უწუნებდნენ ზედმეტად კონფრონტაციულ და ხისტ საგარეო პოლიტიკას, რამაც ქვეყანა ფაქტიურად იზოლაციაში მოაქცია. საგანგებო ყურადღება დაეთმო ირანის ბირთვულ პროგრამას, რომლის მიზეზითაც ქვეყანას უხდება დასავლური სამყაროს მხრიდან მკაცრი სავაჭრო– ეკონომიკური და საბანკო სანქციების თმენა. არცერთი კანდიდატი ეჭვქვეშ არ აყენებდა ირანის უფლებას, **„განავითაროს საკუთარი მშვიდობიანი ბირთვული პროგრამა“,** ოღონდ მხოლოდ საიდ ჯალილი, როგორც ირანის ბირთვულ დოსიეზე მთავარი მომლაპარაკებელი, ამართლებდა დასავლელ ოპონენტებთან უკომპრომისო და ხისტი პოზიციის დაჭერას, დანარჩენი კანდიდატები კი თვლიდნენ, რომ ამ საკითხში საჭირო იყო უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარება, რათა თავიდან აცილებულიყო ქვეყნისათვის საზიანო სანქციების გარკვეული ნაწილი მაინც. გამოცდილმა დიპლომატმა ალიაქბარ ველაიათიმ საიდ ჯალილის გასაგონად საჯაროდ განაცხადა, რომ დიპლომატიის წარმატება მხოლოდ „არა“–ს თქმა არაა. მისი თქმით, **„წინააღმდეგობის გაწევა გააზრებულად უნდა ხდებოდეს. მომავალი მთავრობა მოაგვარებს სანქციებისა და ბირთვული პროგრამის პრობლემებს“.**

ცალკე უნდა აღინიშნოს კანდიდატთა ეკონომიკური პროგრამები, რომლებსაც მეტწილად ეკონომიკური დაპირებების სახე ჰქონდათ. ყველა კანდიდატი აცხადებდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში შეაჩერებდა მზარდ ინფლაციას, განამტკიცებდა ეროვნული ვალუტის კურსს დოლართან მიმართებაში, გააჯანსაღებდა მრეწველობას, შექმნიდა ახალ სამუშაო ადგილებს და ა.შ. ასე მაგალითად, მოჰსენ რეზაიმ განაცხადა, რომ ქვეყნის სწორად მართვის შემთხვევაში 75–მილიონიან ირანში განცხრომით ცხოვრება შეეძლო 500 მილიონ ადამიანს. ამით მან 4–ჯერ გადააჭარბა მაჰმუდ აჰმადინეჟადის რამდენიმე წლის წინანდელ „რეკორდს“, რომელიც დღევანდელი ირანის პოტენციალში ხედავდა 120 მლნ მოსახლის კეთილდღეობას. ალიაქბარ ველაიათიმ გასცა დაპირება, რომ ქვეყანას დაუბრუნებდა ისლამური რევოლუციის შემდეგ საზღვარგარეთ (განსაკუთრებით აშშ–ში) დაბლოკილ სავალუტო რეზერვებს და აღადგენდა აბრეშუმის გზას, სადაც ირანს წამყვანი როლი დაეკისრებოდა. მოჰამად ყარაზი გამარჯვების შემთხვევაში მოსახლეობას პირდებოდა „ანტიინფლაციური მთავრობის“ შექმნას, ინფლაციის მანქანის ჯერ გაჩერებას და შემდეგ მის

უკუსვლას. მოჰამად–ბაყერ ყალიბაფი ძირითად აქცენტს აკეთებდა ირანის ეკონომიკაში თეირანუის მართვის წარმატებული მოდელის დანერგვასა და სახელმწიფო ადმინისტრირების დახვეწაზე. მან მოსახლეობას მოუწოდა, ჩაეწერათ ყველა მისი გამოსვლა და გაპრეზიდენტებიდან 100 დღის შემდეგ შეეჯერებინათ მისი პრაქტიკული ქმედებები წინასაარჩევნო დაპირებებთან. ღოლამალი ჰადად ადელი, ჰასან რუჰანი და საიდ ჯალილი ასევე საუბრობდნენ საკუთარი ეკონომიკური გუნდების მიერ მომზადებული გათვლილი და ეფექტური პროგრამების შესახებ, რომელიც მოკლე ხანში სასიკეთო კვალს დააჩნევდა ქვეყნის ეკონომიკას.

10 ივნისს გამოცხადდა, რომ რეფორმატორული მოძრაობის 10–კაციანმა მრჩეველთა საბჭომ, რომელიც შეიქმნა ყოფილი პრეზიდენტის სეიედ მოჰამად ხათამის ინიციატივით, ჰასან რუჰანი გამოაცხადა რეფორმატორთა საპრეზიდენტო კანდიდატად, რაც თავისთავად გულისხმობს მეორე რეფორმატორი კანდიდატის მოჰამადრეზა არეფის გამოკლებას საარჩევნო მარათონიდან რუჰანის სასარგებლოდ. იმავე დღის ბოლოს გამოქვეყნდა არეფის განცხადება, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ რეფორმისტული მოძრაობის ლიდერისაგან, სეიედ მოჰამად ხათამისაგან მიიღო წერილობითი რეკომენდაცია, მოეხსნა საკუთარი კანდიდატურა და ამიტომაც იგი ამ მოძრაობისა და მთლიანად ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ემორჩილებოდა ავტორიტეტების გადაწყვეტილებას.

ამავე დღეს გამოქვეყნდა ღოლამალი ჰადად–ადელის 10–პუნქტიანი განცხადება, რომლითაც მან ირანელ ხალხს ამცნო საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ, შეწყვიტოს ბრძოლა პრეზიდენტობისათვის. მისი თქმით, ეს ნაბიჯი ემსახურება არჩევნებში ფუნდამენტალისტთა ერთიანობის განმტკიცებას და შეესაბამება იმ შეთანხმებას, რომელიც არსებობდა „2+1“ ანუ „პროგრესის კოალიციაში. ჰადად–ადელმა ასევე მოუწოდა სხვა კონსერვატორ კანდიდატებს, მიიღონ ანალოგიური გადაწყვეტილება ერთი ღირსეული კანდიდატის სასარგებლოდ, თუმცა არ დაუკონკრეტებია მისი ვინაობა.

მოჰამად ბაყერი ყალიბაფის საარჩევნო შტაბმა მოიწონა ჰადად ადელის ეს ნაბიჯი, რომელიც შეესაბამებოდა „2+1“ კოალიციის (ყალიბაფი, ველაიათი, ჰადად ადელი) წინასწარ შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ ბოლო მომენტში ამ სამიდან საარჩევნო სიაში დარჩებოდა მხოლოდ ერთი ყველაზე რეიტინგული კანდიდატი, რაც ფაქტიურად იყო მინიშნება ალიაქბარ ველაიათისადმი, რომ მასაც ანალოგიური ნაბიჯი გადაედგა. როგორც ჩანს, ველაიათი ბოლომდე ებღაუჭება საკუთარ შანსს, პოლიტიკური კარიერის მიწურულს გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი. სააგენტო „ფარს“–ის 10 ივნისის ინფორმაციით, ირანის მეჯლისის 160 დეპუტატმა წერილობით დაადასტურა ალიაქბარ ველაიათის მხარდაჭერა. ამავდროულად სხვადასხვა მოწვევის ირანის მეჯლისის 432 დეპუტატმა (აქედან, 150 მოქმედმა) მხარი დაუჭირა ყალიბაფს(სააგენტო „მეჰრ“–ი,10 ივნისი).

საზოგადოებრივი აზრის ინტერნეტული ან სატელეფონო მონიტორინგი აჩვენებს განსხვავებულ შედეგებს, რაც დამოკიდებულია გამოკითხულთა რაოდენობასა და სოციალურ მდგომარეობაზე. ასე მაგალითად, „ამერიკის ინფორმაციისა და საზოგადოებრივი აზრის ცენტრი“ ტელეფონით დაუკავშირდა 1000 ირანელ მოქალაქეს და ამის საფუძველზე გამოაცხადა, რომ საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის დიდი უპირატესობით (39%) ლიდერობს მოჰამად ბაყერ ყალიბაფი, მეორე ადგილზეა მოჰსენ რეზაი (16,6%), ხოლო მესამეზე – საიდ ჯალილი (13,9%). ამ გამოკითხვის მიხედვით, მოქალაქეთა 57% ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ ვის მისცემს ხმას. ირანში ჩატარებული ზოგიერთი გამოკითხვის შედეგებით, უმეტესად

ლიდერობდა მოჰამად–ბაყერ ყალიბაფი, რომელსაც მონაცვლეობით კვალში მისდევდნენ ჰასან რუჰანი და საიდ ჯალილი.

4 ივნისს, ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებლის იმამ ხომეინის გარდაცვალების 24–ე წლისთავისადმი მიძღვნილ შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა ქვეყნის ამჟამინდელი სულიერი ლიდერი აიათოლა სეიედ ალი ხამენეი. მისი გამოსვლის ერთერთი მთავარი თემა საპრეზიდენტო არჩევნები იყო. მან მოუწოდა კანდიდატებს, თავი შეიკავონ ცარიელი დაპირებებისაგან, ხოლო მომავალ პრეზიდენტს ურჩია, მოერიდნოს ნათესავ–მეგობრების დაწინაურებას საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. სულიერმა ლიდერმა განაცხადა, რომ იგი ღიად მხარს არ უჭერს არცერთ კანდიდატს. 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინაც, ანალოგიურ შეკრებაზე ხამენეიმ თქვა, რომ მხოლოდ ერთი ხმა გააჩნია და მას გამოიყენებს საარჩევნო უბანზე მისვლისას. თუმცა მაშინდელ გამოსვლაში მან შეაქო მაჰმუდ აჰმადინეჟადის საპრეზდენტო მოღვაწეობის პირველი 4 წელი, რაც თავისთავად წარმოადგენდა მისდამი მხარდაჭერის გამოხატვას და მოქმედ პრეზიდენტს სხვა კანდიდატებზე წინ აყენებდა. ცხადია, რომ სულიერი ლიდერის ხელთ არსებული ადმინისტრაციული რესურსი (ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი, რეგულარული არმია, ბასიჯები და ა.შ.) ის მნიშვნელოვანი ძალაა, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს არჩევნების ბედი ნებისმიერი ერთი კანდიდატის სასარგებლოდ. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ალიაქბარ რაფსანჯანის უდავო ფავორიტობისა და ლიდერობის მიუხედავად მაშინ ნაკლებად ცნობილმა მაჰმუდ აჰმადინეჟადმა თეირანის მერის სავარძლიდან გადაინაცვლა პრეზიდენტის ოფისში, თუმცა ამისათვის საჭირო გახდა მეორე ტურის ჩატარება.

მაჰმუდ აჰმადინეჟადის კანდიდატის, მისი მძახლის, ესფანდიარ რაჰიმ მაშაის დაბლოკვის შემდეგ, ჯერჯერობით გაურკვეველია, თუ არჩევნებზე დაშვებული 8 კანდიდატიდან რომელს დაუჭერს მხარს პრეზიდენტი და მისი გუნდი, რომელთაც ხელისუფლებაში ყოფნის სულ რამდენიმე თვეღა დარჩათ. ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, რომ ახლა საიდ ჯალილია აჰმადინეჟადის ფავორიტი, მაგრამ პრეზიდენტის მომხრე გაზეთ „შაჰრვანდ“–ის შეხედულებით, „ჯალილი არა თუ აჰმადინეჟადის რჩეული, არამედ მთლიანად სისტემის რჩეულიც არაა“(სააგენტო „მეჰრ“, 10 ივნისი). საზოგაროებრივ ქსელებში 10 ივნისის გვიან ღამით გავრცელდა ირანული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს უახლოეს ხანში ესფანდიარ რაჰიმ მაშაი გამოაცხადებდა მოქმედი მთავრობისათვის მისაღები კანდიდატის ვინაობას. აჰმადინეჟადის გუნდის პოზიციამაც ასევე შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.

10 ივნისისათვის არსებული მდგომარეობით, უნდა ვივარაუდოთ, რომ არჩევნები 3–პოლუსიანი იქნება. ძირითადი ბრძოლა გაიმართება რეფორმატორების კანდიდატ ჰასან რუჰანის, ე.წ. დამოუკიდებელ კანდიდატ საიდ ჯალილისა და „2+1“ კოალიციის წარმომადგენელს (ან წარმომადგენლებს, ალიაქბარ ველაიათისა და მოჰამად ბაყერ ყალიბაფს) შორის. დამოუკიდებელი კანდიდატების მოჰსენ რეზაის და მოჰამად ყარაზის შანსები აშკარად მიზერულია. არაა გამორიცხული, რომ ეს უკანასკნელიც 14 ივნისადმე ჩამოსცილდეს საპრეზიდენტო ბრძოლას. გენერალი რეზაი კი სამხედრო შეუპოვრობით აცხადებს, რომ ბოლომდე იბრძოლებს და ახლა სხვების ჯერია, მას დაუთმონ გზა.

ძალთა ასეთი გადანაწილება უშვებს იმის სერიოზულ ალბათობას, რომ 14 ივნისს ვერ გამოვლინდეს გამარჯვებული და საჭირო გახდეს არჩევნების მეორე ტურის გამართვა.

გამოყენებული მასალები:

ირანის სულიერი ლიდერის, პრეზიდენტის, ზედამხედველთა საბჭოს საიტები.
სპარსულენოვანი საინფორმაციო სააგენტოები და ანალიტიკური საიტები: „ირნა“, „ფარს“, „მეჰრ“, „ბალათარინ“, „თაბნაქ“, „ისნა“, „ილნა“, „ალეფ“.
გაზეთები: „ირან“, „ჰამშაჰრი“, „ქეიჰან“, „ჯომჰურიე ესლამი“, „არმან“, „მარდომ სალარი“, „აფთაბ“, „ეთელაათ“, „თაბნაქ“, „ჯამე ჯამ“, „შარყ“, „შაჰრვანდ“.
ყოველკვირეული ჟურნალები: „მოსალას“, „ფანჯერე“, „მათნ“.
ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

მირანდა ბაშელეიშვილი

ირანისა და აზერბაიჯანის ურთიერთობა ბირთვული კრიზისისა და საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე

ირანის რეგიონულ პოლიტიკაში სამხრეთ კავკასიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ირანმა რეგიონში წარმოქნილ სამ სახელმწიფოსთან - საქართველოსთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა და სხვადასხვა სფეროში მათთან დღემდე მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებს.

სამხრეთ კავკასიის სხვა სახელმწიფოებიდან, ირანს მოსაზღვრე აზერბაიჯანთან შედარებით დაძაბული ურთიერთობა აქვს. ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ტალღა კიდევ უფრო გაძლიერდა ირანის ბირთვული კრიზისის ფონზე, რაც ძირითადად, აზერბაიჯანის მიერ ისრაელთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას უკავშირდება.

2012 წლის დასაწყისში აზერბაიჯანსა და ისრაელს შორის სამხედრო შეიარაღების შესყიდვის შესახებ $ 1,6 მლრდ. ღირებულების კონტრაქტი გაფორმდა. ეს ფაქტი ოფიციალურმა თეირანმა მკაცრად გააკრიტიკა. იმ პირობებში, როცა ევროკავშირისა და აშშ-ს მიერ ირანის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციები მოქმედებს, ხოლო ისრაელისა და აშშ-ს მიერ ირანის ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად სამხედრო ჩარევა არ გამოირიცხება, თეირანისთვის, ბუნებრივია, ბაქოსა და თელ-ავივს შორის ურთიერთობების გაღრმავება მიუღებელია და საფრთხედ აღიქმება. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ოფიციალურად აცხადებდნენ, რომ აშშ-მა და ისრაელმა, შესაძლოა ირანზე თავდასხმის შემთხვევაში აზერბაიჯანის ტერიტორია გამოიყენონ. 2012 წლის თებერვალში ირანმა აზერბაიჯანის ელჩი ჯ. ახუნდოვი საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარა და ისრაელსა და აზერბაიჯანის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ჯ. ახუნდოვანმა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადა, რომ აზერბაიჯანი ისრაელისგან შეძენილ შეიარაღებას მხოლოდ აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად გამოიყენებს.

ირანსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დაძაბულობა კვლავაც აქტუალურია და ამჟამად, ძირითადად, აზერბაიჯანში „სამხრეთ აზერბაიჯანის“ საკითხის გააქტიურებით და ორივე ქვეყანაში ერთმანეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ეჭვიმატანილი პირების დაკავებაში გამოიხატება.

„სამხრეთ აზერბაიჯანის“ საკითხის გააქტიურება აზერბაიჯანში და ირანის რეაქცია

2012 წლის 1 თებერვალს აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციური გაერთიანებული პარტიის, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის დეპუტატმა გ. ჰასანგულიევმა წამოაყენა წინადადება, რომ „გოლესთანის“ (1813წ.) და „თურქმანჩაის“(1829წ.) ხელშეკრულებებს მიენიჭოს იურიდიული ძალა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას „ჩრდილოეთ აზერბაიჯანი“ ეწოდოს. მას მხარი დაუჭირეს სხვა დეპუტატებმაც. იდეის ავტორების განცხადებით, აზერბაიჯანი ამჟამად არ არის ერთიანი რესპუბლიკა, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ირანის აზერბაიჯანი, ე.წ. „სამხრეთ აზერბაიჯანი“ მოწყვეტილია დედა–სამშობლოს, ჩრდილოეთ და სამხრეთ აზერბაიჯანის გაერთიანებით უნდა მოხდეს ერთიანი აზერბაიჯანის შექმნა.

„სამხრეთ აზერბაიჯანის“ საკითხის გარშემო ირან–არზეაიჯანის ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა მიმდინარე წლის გაზაფხულზე. 2013 წლის 30 მარტს „სამხრეთ აზერბაიჯანის ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ფრონტის“ ორგანიზებით, ბაქოში გაიმართა კონფერენცია, სახელწოდებით „თანამედროვე სახრეთ აზერბაიჯანის ხვალინდელი დღე“. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, ირანელმა ემიგრანტებმა, ექსპერტებმა, „სამხრეთ აზერბაიჯანის“ მოქალაქეთა უფლებების დამცველმა უცხოური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ასევე აზერბაიჯანის პარლამენტის – მილი მეჯლისის დეპუტატებმა. კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების სათაურები

მეტყველებს ამ შეხვედრის საერთო სულისკვეთებაზე: „სამხრეთ აზერბაიჯანი - ეროვნული ბრძოლის პერსპექტივები“, „ირანის სახელმწიფო კრიზისი“ და სხვ.

აღნიშნული კონფერენციის ჩატარება მკაცრად დაგმეს ირანის მთავრობის წარმომადგენლებმა. საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს აზერბაიჯანის ელჩი ირანში, ჯანაშირ ახუნდოვი და მას საპროტესტო ნოტა გადასცეს. ირანულმა მხარემ, ბაქოში მსგავსი კონფერენციის ჩატარება ირანის ისლამური რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისთვის საფრთხედ შეაფასა და ირანისა და აზერბაიჯანის ურთიერთობების განვითარებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნია.

მსგვასი ხასიათის ღონისძიებების ჩატარება, შესაძლოა, ირანის ტერიტორიული მთლიანობისთვის მართლაც საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს, რასაც ირანში ეთნიკური აზერბაიჯანელების რაოდენობა და მათი განსახლების არეალი უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანელები ირანის ეთნიკური უმცირესობიდან ყველაზე მრავალრიცხონავი ჯგუფია (ირანში დაახლ. 25 მილიონი აზერბაიჯანელი ცხოვრობს). ისინი, ძირითადად, ირანის ჩრდილო-დასავლეთში, ირან-აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონებში ცხოვრობენ. ირანის აზერბაიჯანი შედგება არდებილის, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის, ზენჯანის, ჰამადანის პროვინციებისგან და მისი ტერიტორია 170.000 კვ.კმ-ს მოიცავს – გაცილებით დიდია, ვიდრე აზერბაიჯანის რესპუბლიკა (86,600 კვ.კმ.) ირანის აზერბაიჯანში სეპარატისტულ მოძრაობის გაღვივებას ისიც უწყობს ხელს, რომ ისინი ეთნოკულტურულად ახლოს მყოფ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასაზღვრო რეგიონებში ცხოვრობენ. რთული პოლიტიკური ვითარების პირობებში, როგორც საშინაო (შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევენები), ასევე საგარეო ასპარეზზე (დაძაბული ურთიერთობა დასავლეთთან), ირანისათვის მოსაზღვრე აზერბაიჯანში „სამხრეთ აზერბაიჯანის“ საკითხის გააქტიურება განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება. აღსანიშნავია, რომ გარე ძალების მიერ ეთნიკურ ნიადაგზე ირანის დაყოფის მცდელობა არც თუ ისე შორეულ წარსულში არსებობდა: მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, 1945-1946 წწ-ში, საბჭოთა კავშირს ჰქონდა მცდელობა, დაენაწევრებინა ირანი, შეექმნა იქ ავტონომიური „ირანის აზერბაიჯანი“ და ე.წ. „მეჰაბადის რესპუბლიკა“ ჩრდილოეთ ქურთისტანში.

აღსანიშნავია, რომ ბაქოში „სამხრეთ აზერბაიჯანის“ საკითხთან ჩატარებული ფორუმის შემდეგ, ირანის მხრიდან ბაქოს მიმართ საპასუხო მკვეთრი განცხადებები გაისმა. 2013 წლის აპრილის დასაწყისში ირანის მეჯლისის წევრმა, უშიშროების კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მანსურ ჰაყიყათფოურმა განაცხადა, რომ კავკასიის 17 ქალაქი, მათ შორის აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო, მხარს უჭერენ ირანთან შეერთებას. მან კავკასიის 17 ქალაქის, მათ შორის ბაქოს ირანთან შეერთების ოპერაციის დაწყებაზეც ისაუბრა.

მანსურ ჰაყიყათფოურის განცხადებით, ახალგაზრდები ირანის ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე, ისეთ ქალაქებში, როგორიცაა არდებილი, თავრიზი, ურმია, ზენჯანი, მზად არიან დაიბრუნონ უკან ირანული ქალაქები, რომლებიც ყაჯართა დინასტიის პერიოდში გამოეყო ირანს. კიდევ უფრო შორს წავიდა ჰოსეინ შარიათმადარი, აიათოლა ალი ხამენეის წარმომადგენელი ჟურნალ „ქეიჰან“-ში, სადაც მან გამოაქვეყნა სტატია „ბაქოს რიგი“. ჰოსეინ შარიათმადარიმ აზერბაიჯანში რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა, რომელიც აზერბაიჯანის ირანთან შეერთების საკითხს უნდა შეეხოს. იგი თავის სტატიაში „აზერბიჯანის რესპუბლიკის მუსლიმი მოსახლეობის“ ირანთან შეერთების სურვილსა და ენთუზიაზმზე საუბრობდა და მოუწოდებდა აზერბაიჯანელებს, ხელისუფლებისაგან რეფერენდუმის ჩატარება მოეთხოვათ.

ხაზგასასმელია, რომ ბოლო პერიოდში თეირანსა და ბაქოს შორის არსებული დაძაბულობის პირობებში, ირანის მხრიდან მსგავსი მკვეთრი განცხადებები პირველად დაფიქსირდა. ეს, შესაძლოა, ბაქოში ბოლო პერიოდში ჩატარებულ კონფერენციას და „სამხრეთ აზერბაიჯანის“ საკითხის კვლავ წინ წამოწევას უკავშირდება. ასევე, აღსანიშნავია, ისიც, რომ 2013 წლის აპრილში აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი ისრაელში პირველი ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა, ისრაელის მთავრობის წარმოადგენლებთან

შეხვედრები გამართა და მათთან ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების გაღრმავებაზე ისაუბრა. ირანმა ბაქოსა და თელ-ავივს შორის კავშირების გაღრმავება კიდევ ერთხელ გააპროტესტა.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანსა და ირანში საკმაოდ გახშირდა ერთმანეთის საწინააღმდეგო განცხადებები, რეალური მოქმედებების დაწყება, რასაც შეიძლება, რომელიმე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა მოჰყვეს, ამ ეტაპზე ნაკლებად მოსალოდნელია. აღსანიშნავია, რომ არც ერთი მხარის ინტერესებში არ შედის არსებული ვითარების შეცვლა და რიტორიკული განცხადებები ოფიციალური თეირანის და ბაქოს პოზიციას ნაკლებად გამოხატავს. ირანის აზერბაიჯანის აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან შეერთებით, აზერბაიჯანი მიიღებს, თავის მოსახლეობაზე გაცილებით დიდი რაოდენობით ეთნიკურ აზერბაიჯანელს, რომლებიც ირანის ისალმური რესპუბლიკის რეჟიმიდან გამომდინარე, უფრო ძლიერი „შიიტური თვითშეგნებით“ ხასიათდებიან, ვიდრე აზერბაიჯანის მოქალაქეები. ხოლო რაც შეეხება ირანს, „კავკასიის 17 ქალაქის ანექსიის“ შემთხვევაში, ისლამური რესპუბლიკაში გაიზრდება ეთნიკური აზერბაიჯანელების რიცხვი, რომლებიც უცხო ძალი დასაყრდენი იქნება და გაზრდის ეთნიკურ ნიადაგზე ირანის ტერიტორიული რღვევისშესაძლებლობას .

ჯაშუშობის ბრალდებით მოქალაქეთა დაპატიმრების ფაქტები ირანსა და აზერბაიჯანში

ირანსა და აზერბაიჯანს შორის დაძაბულობის მატებასთან ერთად ორივე ქვეყანაში გახშირდა ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი პირების დაკავების ფაქტებიც. ჯერ კიდევ 2012 წლის დასაწყისში, ირანმა აზერბაიჯანი ბირთვულ სფეროში მომუშავე მეცნიერის მკვლელობის საქმეში ისრაელის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა. ირანის აგენტობაში ეჭვიმიტანილი პირების დაკავების ფაქტებმა იმატა აზერბაიჯანშიც. 2012 წლის მარტში აზერბაიჯანის მთავრობის წარმომადგენლებმა 22–კაციანი ჯგუფი დააკავეს, რომლებიც ირანის სასარგებლოდ ჯაშუშობაში იყვნენ ეჭვმიტანილები. აზერბაიჯანის უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, ეს პირები აზერბაიჯანში დასავლეთის ქვეყნების საელჩოებისა და კომპანიებზე აფეთქებების მოწყობას გეგმავდენენ. აზერბაიჯანის უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულ პირებს კავშირი ჰქონდათ ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის წარმომადგენლებთან და სავარუდოდ, მათი სამიზნე ამერიკის შეერთებული შტატების და ისრაელის საელჩოები, ასევე უცხოური, კერძოდ, კი ინგლისური კომპანიის წარმომადგენელები იყვნენ. აზერბაიჯნის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსს - ფასდარანს, რელიგიური ნიშნით აზერბაიჯანში სპეციალური ჯგუფის ჩამოყალიბება სურდა. გარდა ამისა, ოფიციალური ბაქოს ინფორმაციით, რამდენიმე ქალაქში „ალ-კაიდას“ 19 მებრძოლი დააკავეს, რომელთა ნაწილსაც წვრთნა ირანში ჰქონდა გავლილი.

ირანში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, მკვეთრად იმატა ჯაშუშობის ბრალდებით ეთნიკური აზერბიაჯანელების დაკავების ფაქტებმაც. 2013 წლის მაისში ირანში, აღმოსავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში რევოლუციურმა სასამართლომ „სამხრეთ აზერბაიჯანის ეროვნული გამოღვიძების მოძრაობის“ 5 წევრს ბრალი წაუყენა. ისინი სასამრთლომ სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებასა და რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდაში დაადანაშაულა და თითოეულ მათგანს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ირანში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების დაკავების სხვა ფაქტებიც გამოვლინდა: 2013 წლის აპრილში დასავლეთ აზერბაიჯანის პროვინციაში, ეთნიკური აზერბაიჯანელებისა და თურქების უფლებების დამცველი აქტივისტებს აბას ვალიზადესა და მეჰდი ქუხიანს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, ისინი რეჟიმის საწინააღმდეგო პროპაგანდაში, სეპარატისტულ და პან-თურქისტულ ჯგუფებთან თანამშრომლობაში, ირანის სულიერი ლიდერის და ირანის რელიგიური ღირებულებების შეურაცხყოფაში იყვნენ დადანაშაულებულნი.

ირანის უსაფრთხოების ძალებმა ასევე დააკავეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, ლიტერატურის მკვლევარი ხალიდა ხალიდი, რომელიც თავრიზში თავისი სამეცნიერო მუშაობასთან დაკავშირებით იყო ჩასული. მასთან ერთად დააკავეს ასევე მისი მძღოლი შამხალ ჰუსეინოვი და მათი აზერბაიჯანელი მასპინძლები ოქთაი რაშიდი, ამირ ჰადიანი, მწერალი ფარჰადი და მწერალი აშიყ ისა ყარახანი, რომლებიც მოგვიანებით დროებით გაათავისუფლეს გირაოთი.

დასკვნა

ზემოთ განხილული საკითხებიდან, ნათლად ჩანს, რომ თეირანის ბირთვული კრიზისის ფონზე ირანსა და აზერბიჯანს შორის არსებული დაძაბულობის განმუხტვის პერსქეტივა ჯერჯერობით ბუნდოვანია. 2012 წლის დასაწყისიდან ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო შექმნილი ვითარება არ შეცვლილა, მიუხედავად ირანსა და „ექვსეულს“ (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი, გერმანია) გამართული რამდენიმე ეტაპიანი შეხვედრებისა, რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მიღწეული არ არის. დასავლეთთან არსებული კონფრონტაციის პირობებში კი, ირანისთვის მოსაზღვრე აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ ისრაელთან ურთიერთობების განვითარება მიუღებელია და საფრთხედ აღიქმება.

ირან-აზერაბაიჯანის შორის ურთიერთობების დაძაბვაზე გავლენას ახდენს ირანში მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნები. ოფიციალური თეირანი აზერბაიჯანის მხრიდან, ქვეყნის შიდა ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით, უცხოური სპეც-სამსახურების წარმომადგენელთა შემოსვლას არ გამორიცხავს. სწორედ ამას უკავშირდება, ბოლო პერიოდში, ირანში გახშირებული ეთნიკური აზერბაიჯანელების დაკავების ფაქტები. დაკავებულები, ძირითადად, ისლამური რეჟიმის საწინააღმდეგო ქმედებებსა და ირანში, ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ტერიტორიებზე სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებაში არიან ბრალდებულნი.

სავარუდოდ, ირანსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დაძაბულობა კვლავ გაგრძელდება. ორივე მხრიდან მოსალოდნელია ერთმანეთის საწინააღმდეგო რიტორიკული განცხადებების გაკეთება, რეალურად, განცხადებების შესაბამისი ქმედების დაწყება(ირანის მხრიდან ანექსია, ან „სამხრეთ აზებაიჯანის“ გამოყოფა) ნაკლებად მოსალოდენლია. ორი ქვეყნის ურთიერთობებში რადიკალური ცვლილებები, მხოლოდ რეგიონში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებებისა და ძალთა ბალანსის შეცვლის შემთხვევაში შეიძლება გახდეს რეალური.

გამოყენებული წყაროები:

http://www.radiofarda.com/content/o2_iran_azerbaijan_spying_charge/24634282.html
http://www.regnum.ru/news/1550230.html
http://www.regnum.ru/news/1550274.html
http://www.bbc.co.uk/persian/iran/2012/06/120609_l23_lp_neighbours_iran_azarbayjan_fr.shtml
http://www.bbc.co.uk/persian/iran/2012/07/120526_l23_lp_neighbours_iran_azarbayjan_khe_tehran_baku_dk.shtml
http://www.vz.ru/news/2012/2/1/558150.html
http://www.radiofarda.com/archive/news/20120705/143/143.html?id=24635475
http://tehrantimes.com/politics/99329-iran-51-group-hold-expert-meeting-
http://www.radiofarda.com/content/o2_us_treasury_sanction_iranian_construction_firms/1954532.html?page=2
http://www.presstv.ir/detail/2013/04/04/296503/17-caucasus-cities-seek-iran-annexation/
http://www.persian.rfi.fr/%DB%8C%D8%A7%D8%AF%D8%AF%D8%A7%D8%B4%D8%AA-%D9%88..
http://www.minorityvoices.org/news.php/en/1429/iran-repression-of-azerbaijani-turkish-community-intensifies-as-presidential-election-approaches
http://www.bbc.co.uk/persian/iran/2013/03/130331_u06_azeri_envoy_summoned.shtml
http://www.radiofarda.com/archive/news/20130401/143/143.html?id=24943959

თინათინ კუპატაძე

ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხი ირანში

ბრძოლას ქალისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობისთვის, ქალის ადგილისა და როლის განსაზღვრისათვის ოჯახური, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქალის სტატუსი და მისი უფლებები სხვადასხვა ცივილიზაციებში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი და დადგენილი (მაგ., ისლამური და ქრისტიანული სამყარო). ისლამის რელიგიისათვის კი ქალის სტატუსის განსაზღვრა განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს.

შარიათისა და რელიგიური ტრადიციის მიხედვით, ადამიანთა სამ კატეგორიას – ურწმუნოებს, მონებსა და ქალებს არ ჰქონდათ ზოგადი იურიდიული და რელიგიური თანასწორობის მუსლიმური პრინციპებით სარგებლობის უფლება. მათგან კი ყველაზე ნაკლებად ქალთა ინტერესები იყო დაცული.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში მუსლიმური სამყაროს მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობდა ტრადიციული ისლამის რეფორმირების პროცესი. დასავლეთის გავლენამ, აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკურმა ჩამორჩენილობამ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების შექმნამ და გააქტიურებამ გამოიწვია ცვლილებები ტრადიციული ისლამური საზოგადოების სხვადასხვა, მათ შორის, კონსერვატულ წრეებში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ირანის ისლამური რესპუბლიკა წარმოადგენს, რომელსაც ისლამურ სამყაროში გამორჩეული ადგილი უკავია ძლიერი სახელმწიფოებრივი ტრადიციისა და შიიტური ისლამის სპეციფიკურობის გამო [1].

ირანის ისლამური რესპუბლიკა ის ქვეყანა გახლავთ, სადაც XXI საუკუნეშიც კი მწვავედ დგას დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და განსაკუთრებით ქალთა უფლებების საკითხი. ქალთა უფლებების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იღებს სათავეს, როდესაც ირანში მოდერნიზაციისკენ პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ამ პერიოდში ქალთა უფლებები არ აინტერესებდათ არც დასავლელ კრიტიკოსებს და არც მუსლიმ ლიბერალებს, ამიტომ მათ თავად დაიწყეს საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლის თვალსაჩინო ფიგურა გახლდათ ქურ'ათ ალ-'აუნი, ცნობილი შიიტი თეოლოგის უფროსი ქალიშვილი, სახელგანთქმული რელიგიური რეფორმატორის, ბაბის მიმდევარი, რომელიც XIX საუკუნის ირანში სხვა "დანაშაულებებთან" ერთად ქადაგებდა ჩადრის მოხსნას, გმობდა პოლიგამიას. ქალთა უფლებების ბრძოლის თვალსაზრისით საინტერესო ფიგურას წარმოადგენდა ნასერ ოდ-დინ შაჰის ქალიშვილი, პრინცესა თაჯ ას-სალთანიც, რომელსაც განათლება სამეფო კარზე ჰქონდა მიღებული და კარგად იცნობდა როგორც სპარსულ, ისე ფრანგულ ლიტერატურას. შესაბამისად, იგი კარგად ამჩნევდა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა აღმოსავლელი და დასავლელი ქალების მდგომარეობას შორის და ამ სხვაობის ასახვას თავის ნაწერებში ცდილობდა. შეიძლება ითქვას, რომ თაჯ ას-სალთანის ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია. მისმა ნაწერებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს იმ მოვლენებში, რომელმაც ირანში 1906-11 წლების კონსტიტუციური რევოლუცია გამოიწვია და რომელიც ქალთა აქტიური მონაწილეობით განხორციელდა.

ირანის ისტორიაში პოლიტიკურ ასპარეზზე ქალთა გამოჩენის ათვლის წერტილს სწორედ კონსტიტუციური რევოლუცია წარმოადგენს. ამ დროიდან მოყოლებული ისინი არ წყვეტენ ბრძოლას თანასწორუფლებიანობის მოსაპოვებლად და დღესაც კი "ქალთა საკითხი" და მათი უფლებები ის თემაა, რომელიც კვლავ სადავო საკითხად რჩება ფუნდამენტალისტებისა და მოდერნისტებისათვის.

ფაჰლავიანთა მმართველობის დროს რეფორმებისა და მოდერნიზაციის ტალღა ქალთა მდგომარეობასაც შეეხო და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა მის გასაუმჯობესებლად.

1935-41 წწ. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით გაიზარდა ქალთა წილი მემკვიდრეობაში; ფორმალურად, მაგრამ მაინც მიენიჭა ქალს თანხმობის უფლება ქორწინებაზე... 1936 წელს ქალებს აეკრძალათ ჩადრის ტარება, რასაც არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში, ხოლო სამღვდელოების მხრიდან – პროტესტი. ეს განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ იმ ხანებში ირანი ჯერ კიდევ წარმოადგენდა ტრადიციონალისტურ საზოგადოებას, რომელშიც რელიგიურ სიმბოლოებს მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა ჰქონდათ. ქალთა, ისიც ქალაქებში მცხოვრებთა, მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იყო ემანსიპირებული. XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ფართომასშტაბიანი გამოსვლები ჩადრის ტარების აღდგენის მოთხოვნით. გამოქვეყნდა 15 ცნობილი მოჯთაჰედის ფეთვა, რომლის მიხედვითაც ქალებს ეკრძალებოდათ ბაზრებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩადრის გარეშე სიარული. ასევე, ვაჭრებს არ ჰქონდათ უფლება საქონელი მიეყიდათ უჩადრო ქალებისათვის.

1953 წელს ირანში რეფორმების ახალი ტალღა იწყება სახელმწიფო გადატრიალებისა და პრემიერ-მინისტრ მოსადეყის დამხობის შემდეგ დამყარდა მოჰამად რეზა ფაჰლავის ავტორიტარული მმართველობა, რომლის მიზანსაც ძირეული რეფორმების გატარება წარმოადგენდა ქვეყნის მოდერნიზებისთვის. ამისათვის მან 1962 წ. წამოიწყო ე.წ. "თეთრი რევოლუცია". ამ რევოლუციის პროგრამაში შედიოდა ქალთა უფლებრივი გათანასწორებაც მამაკაცებთან. 1962 წ. მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული კანონის თანახმად, მათ ეძლეოდათ საარჩევნო ხმის უფლება. ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებას ქალებთან დაკავშირებით კი წარმოადგენდა საოჯახო კანონმდებლობა, რომელმაც ერთგვარი გენდერულ-ეგალიტარული მიმართულება მიიღო: შეიზღუდა პოლიგამია, ქალებს მიეცათ განქორწინების მოთხოვნის უფლება, გაყრის შემთვევაში ქალსაც და მამაკაცსაც სასამართლოსთვის უნდა მიემართათ, ასევე სასამართლოში ხდებოდა ბავშვის მეურვეობის საკითხის განხილვაც. ქალს თავისუფლად შეეძლო ბავშვზე მეურვეობის უფლების მიღება. რეფორმები განხორციელდა განათლების სფეროშიც, სადაც ძალისხმევა მიმართული იყო გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ამის შედეგად გაიზარდა განათლებულ ქალთა რიცხვი.

შაჰი რეფორმებს ყურანზე დაყრდნობით ამართლებდა: "ყურანი არა მარტო აღიარებს ქალის ადამიანურ ღირსებას, არამედ მას სამართლებრივ პრივილეგიასაც ანიჭებს" [1]. ისლამი უკვე წარმოადგენდა შირმას, რომლის სახელითაც ხდებიდა მოდერნიზაციასთან დაკავშირებული პროცესების განხორციელება.

კლერიკალთა უმეტესობა ეწინააღმდეგებოდა შაჰის რეფორმებს და განსაკუთრებულად კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა საოჯახო კანონმდებლობისადმი. რადიკალ სამღვდელოებას სათავეში ედგა აიათოლა რუჰოლა ხომეინი. ის გმობდა შაჰის პოლიტიკას და არც არასდროს დაუმალავს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მის მიმართ. მისთვის მიუღებელი იყო ქალთა ემანსიპაციისათვის გატარებული ღონისძიებები. პირველი დემონსტრაციები შაჰის წინააღმდეგ ხომეინიმ 1963 წელს დაიწყო. მართლია, მას ეს ფაქტი ქვეყნიდან 15 წლიან გაძევებად დაუჯდა, მაგრამ 1979 წელს თავისი მაქსიმალური პრინციპულობისა და რადიკალური სამღვდელოების ფრთის მხარდაჭერით ტრიუმფალურად დაბრუნდა სამშობლოში.

1979 წლის ისლამური რევოლუციის შედეგად ირანში შაჰის მმართველობა დაემხო და დაიწყო ახალი ერა როგორც ისლამური რესპუბლიკის, ისე ქალთა მოძრაობისა და ირანული ფემინიზმის ისტორიაში.

ისლამური რევოლუციის დროს ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ძალას ქალები წარმოადგენდნენ. ისინი თავდაუზოგავად იბრძოდნენ შაჰის რეჟიმის წინააღმდეგ, თავის მხრივ, ხომეინიც არ იშურებდა დაპირებებს, რომ ისლამს გაცილებით მეტის მიცემა შეეძლო ქალებისათვის, ვიდრე დასავლურ ფემინიზმს. ხომეინიმ ქალები რევოლუციონერებად გამოაცხადა და ძნელი წარმოსადგენი იყო ამ ფონზე, რომ რევოლუციის შედმგომ ყველაზე აქტიურ ფრთას, რომელმაც საკმაოდ დიდი წვლილი

შეიტანა მოვლენების წარმატებით დაგვირგვინებაში, რაიმე სიახლის მაგივრად სახლში წასვლას მოსთხოვდნენ [7]. ახალი ხელისუფლების ხელში ქალებს ერთი ნაბიჯის უკან გადადგმა მოუწიათ და არა პირიქით.

ხომეინის ძალისხმევა მიმართული იყო ქალების "დახმარებისაკენ", ჩამოეწმინდა მათი სახიდან "ვესტერნიზაციის" მტვერი და მთელ მსოფლიოში მუსლიმი ქალის სამაგალითო მოდელი შეექმნა. სწორედ ამის გამოძახილს წარმოადგენდა ჩადრის ტარების დაკანონება. ჩადრი, შეიძლება ითქვას, ქალის მორალურ-კულტურული ტრანსფორმაციის სიმბოლოდ იქცა. ეს იყო ის პირველი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა ქალთა ნება-სურვილის წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ქალები, იყვნენ თუ არა ისინი რელიგიურები, შაჰის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად შეიმოსნენ ჰიჯაბით [2], მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა, თუ სულ ცოტა ხანში იძულებულნი გახდებოდნენ მუდმივად ეტარებინათ ის. ამან, რა თქმა უნდა, ქალების დიდი მღელვარება გამოიწვია, რასაც მოჰყვა საპ-როტესტო გამოსვლები ლოზუნგებით: "რევოლუცია იმიტომ არ მოგვიხდენია, რომ დროში უკან დავბრუნებულიყავით". ქალებს მხარს უჭერდნენ მემარცხენე პოლიტიკური ჯგუფები. პროტესტებმა მოკლევადიანი შედეგი გამოიღო და გაკვეული პერიოდის მანძილზე კონტროლი ჰიჯაბზე შეიზღუდა. მას შემდეგ, რაც ლიბერალებისა და მემარცხენე ძალების აქტივობას პრაქტიკულად ბოლო მოეღო, ისლამისტებს უკვე კარგი საშუალება მიეცათ მკაცრად გაეკონტროლებინათ ქვეყნის მმართველობის ყველა სფერო და ადამიანთა უფლებები. დაწესდა მკაცრად განსაზღვრული კონტროლი ქალთა ჩაცმულობაზე, აიკრძალა კოსმეტიკა და რამდენიმე ახალგაზრდა ქალს, რომლებმაც უგულებელყვეს ხელისუფლების მოთხოვნები, საზოგადოებრივი მორალის დამცველებმა სამართებლით მოაცილეს ტუჩსაცხი [3].

1980-იანი წლების პირველი ათწლეულის მანძილზე ირანის ისლამურ რესპუბლიკაში აიკრძალა ქალთა მოღვაწეობა მთელ რიგ სფეროებში. მაგალითად, სასამართლო სისტემაში. გაუქმდა შაჰის მიერ მიღებული საოჯახო კანონმდებლობა. ამის სანაცვლოდ, ახალმა ხელისუფლებამ შარიათზე დაფუძნებული საოჯახო კოდექსი შეადგინა, რამაც მკვეთრად შეაფერხა და შეაჩერა ქალთა ემანსიპაცია. შეიზღუდა მათი უფლებები განათლების სფეროში, მუშაობასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მათ სჭირდებოდათ ოჯახის უფროსის ან მეუღლის ნებართვა სამსახურის დასაწყებად, სამოგზაუროდ წასასვლელად თუ პასპორტის მისაღებად. ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ წამოიწყო მასშტაბური იდეოლოგიური კამპანია, რომელიც ახდენდა ისლამური ღირებულებების ხაზგასმას, დასავლეთის "შავი" მხარეებისა და ქალის როლის ხაზგასმას ოჯახში. ქალი, პირველ რიგში, განისაზღვრებოდა როგორც დედა და ცოლი, რომლის მთავარ ამოცანას კაცობრიობის მომავალი თაობის აღზრდა წარმოადგენდა [2. გვ.5]. საკმაოდ ფრთხილად, მაგრამ მაინც ხაზი ესმებოდა მის უსუსურ ბუნებას, რის გამოც აუცილებელი იყო მისი დაცვა მავნე ზეგავლენისაგან და დაბრუნება ჭეშმარიტ, შინაგან ბუნებასთან. ხომეინისა და ქვეყნის სულიერი ლიდერის პოსტზე მისი მემკვიდრის, ხამენეის, შეხედულებების თანახმად, ქალთან მიმართებაში აუცილებელი იყო ისეთი იდეოლოგიის გატარება, რომელიც სავსებით მიესადაგებოდა მის ბუნებას, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში. ისლამური ნორმების მიხედვით, დაწესდა სერიოზული შეზღუდვები ქალის სამუშაო უფლებასთან მიმართებაში. ეს, შეიძლება ითქვას, იყო შენიღბული აგრესიული პოლიტიკა ქალთა საქმიანობის წინააღმდეგ. მიღებულ იქნა კანონი ქალების არასრული ხანგრძლივობის სამუშაო დღის შესახებ, რაც აისახებოდა მათ ანაზღაურებაზეც. იყო მათი სამსახურიდან იძულებით გათავისუფლების შემთხვევებიც. ამაზე მეტყველებს სტატისტიკური მონაცემებიც. თუ რევოლუციამდე დასაქმებულ ქალთა რიცხვი შეადგენდა 13.74 %-ს, 1986 წლისათვის მხოლოდ 8.85 % შეადგინა [2]. ძირითადი სფეროები, რომელშიც იყვნენ ისინი დასაქმებული, იყო მეანობა, ლაბორატორიული სამუშაოები, ფარმაცევტიკა, თარჯიმნობა, განათლება. ისეთი სამსახური, რომელიც ორივე სქესის ურთიერთობას გულისხმობს, იკრძალებოდა. მაგალითად, გეოლოგიური, არქეოლოგიური სამუშაოები, ვეტერინარია. შეზღუდვები იყო სასწავლებლებშიც. გოგონებს არ შეეძლოთ რიგ

ფაკულტეტებზე სწავლა. პირველ რიგში, აღსანიშნავია იურიდიული ფაკულტეტი. ჩამოყალიბდა გენდერულად სეგრერირებული სკოლები. ასეთი პოლიტიკის გამო ბევრი ქალი იძულებული გახდა წასულიყო კერძო სექტორში. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სპორტსმენი ქალები. მათ თამაშებსა და შეჯიბრებებში მონაწილეობა მხოლოდ ქალი მაყურებლის თანდასწრებით შეეძლოთ. ისინი სპეციალური ტანსაცმლით უნდა წარდგენილიყვნენ თამაშებზე, რათა მათი სხეულის მოყვანილობის ხაზგასმა არ მომხდარიყო. მათთვის აკრძალული იყო ისეთ სპორტულ შეჯიბრებებზე დასწრება, როგორიცაა, მაგალითად, ფეხბურთი [4]. ამის გამო ქალები ხშირად გამოთქვამდნენ პროტესტს. 1997 წელს გულშემატკივარ ქალთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი შეიჭრა სტადიონზე ირანის ნაკრების მიერ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვების აღსანიშნავად და ასევე პროტესტის გამოსახატავად, ისინი მოითხოვდნენ საფეხბურთო მატჩებზე დასწრების უფლებას.

რევოლუციის შემდგომი პირველი ათწლეულის ასეთმა მკაცრმა პოლიტიკამ კიდევ ერთხელ გააღვიძა ქალებში მებრძოლი სულისკვეთება. რელიგიური ქალებიც კი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო ცვლილება საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რომ ქალთა ელემენტარული უფლებები მაინც ყოფილიყო დაცული. 1980-იანი წლებიდან ქალთა აქტივობის ახალი ტალღა იწყება სწორედ ამ პერიოდში ჩნდება ისლამური ფემინიზმის ცნება. აქტიურდებიან ისლამისტი ქალებიც. ხომეინი თავად უწყობდა აღნიშნულ პროცესს ხელს, ცდილობდა რა შაჰის მომხრე ფემინისტები ისლამისტ ქალთა ორგანიზაციებით ჩაენაცვლებინა, რომელიც ხელს შეუშლიდა ძველი რეჟიმის მომხრე ძალების პოლიტიკურ ფორმაციას და ისლამის პროპაგანდასაც შეეცდებოდა. შეიქმნა ისლამური რევოლუციის ქალთა საზოგადოება, რომელსაც სათავეში აიათოლა ხომეინის ქალიშვილი ზაჰრა მოსთაფავი ჩაუდგა. აღნიშნული ორგანიზაციის მთავარ მიზანს ირანელი ქალებისათვის ავთენტურ ისლამთან ზიარება წარმოადგენდა. ისმალისტი ფემინისტები, როგორებიც არიან შაჰინ თაბათაბაი, ზაჰრა რაჰნავარდი, ფრეესტ ფათემე და სხვ., ამტკიცებდნენ, რომ ისლამი არანაირად ჩაგრავს ქალს, მას შეუძლია იყოს მამაკაცის თანასწორიც, ოღონდ შესაძლებლობის ფარგლებში.

ქალის უფლებებთან დაკავშირებით პოსტრევოლუციური ხანის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს თამაშობს ცნობილი ირანელი სოციოლოგიისა და რელიგიურ ინტელექტუალთა წრის წარმომადგენლის – ალი შარიათის – შეხედულებები. ქალთა თემასთან დაკავშირებით საინტერესოა მისი ლექცია ფატიმაზე – ფატიმა არის ფატიმა (ფათემე ფათემე ასთ), სადაც იგი ირანელი ქალის იდეალად სწორედ წინასწარმეტყველის ქალიშვილს, ფატიმას, წარმოადგენს. შარიათისთვის მიუღებელი იყო როგორც შაჰის ეპოქის ვესტერნიზებული და მოდერნიზებული ქალის სახე, ისე რევოლიციის შემდგომი პერიოდის ქალი. მისთვის ქალის ეტალონი ფატიმაა. იგი ზემოაღნიშნულ ლექციაში საუბრობს მასზე, როგორც მუჰამადის ქალიშვილზე, ალის მეუღლესა და ჰასანისა და ჰუსეინის დედაზე, და როგორც ყველაზე აქტიური და მებრძოლი ქალის მაგალითზე. შარიათი გახლდათ ერთ-ერთი პირველი ინტელექტუალთა წრეებიდან, რომელიც ავთენტურ ისლამთან დაბრუნებით ფიქრობდა ირანის ხსნას დასავლეთის მავნე ზეგავლენისაგან და ქალის საკითხთან დაკავშირებითაც სწორედ ყურანში ეძებდა ხსნას. მაგრამ ის მხოლოდ პრობლემის დასმით შემოიფარგლა და რაიმე კონკრეტული დასკვნა ან სამოქმედო გეგმა აღნიშნულ საკითხზე არ შემოუთავაზებია. სამაგიეროდ, საკუთარი მსჯელობით ხაზს უსვამდა იმას, რომ სავსებით შესაძლებელია მოდერნიზმისა და ისლამის, პროგრესისა და ტრადიციის კონსოლიდაცია, რომ მთავარია მოხდეს ისლამური კანონებისა და ტრადიციის სწორი ინტერპრეტაცია ისე, რომ მხოლოდ ერთი ძალის ინტერესებისა და პოზიციების გამყარება არ მოხდეს.

ქალთა უფლებების განსაზღვრის საკითხს მეტ-ნაკლებად ეხება ირანელი მოაზროვნე და ინტელექტუალთა წრის თვალსაჩინო წარმომდგენელი აბდოლქარიმ სორუში, რომლიც

შარიათის მსგავსად საუბრობს პრობლემაზე, განიხილავს და აანალიზებს მას, მაგრამ მისი გადაჭრისა და მოგვარების რეალურ გზაზე არ საუბრობს ან თავს იკავებს.

აბდოლქარიმ სორუში ირანელი ქალების მდგომარეობის შესახებ საუბრისას ამ საკითხთან დაკავშირებით განიხილავს უკვე არსებულ ორ მოსაზრებას, რომელთაგან პირველის თანახმად, ქალი შექმნილია კაცისათვის, რათა ხელი შეუწყოს მის სრულყოფას, მოამზადოს ის თავისი მოვალეობების შესასრულებლად. სორუში, რა თქმა უნდა, მიიჩნევს, რომ ქალისა და კაცის თანაცხოვრებამ, თუნდაც ოჯახის შექმნამ, ორივეს ერთობლივი სრულყოფა უნდა მოახდინოს და არანაირად არ უნდა ითვალისწინებდეს მხოლოდ ქალის მხრიდან მსხვერპლის გაღებას... ხოლო მეორე მოსაზრება ეწინააღმდეგება პირველს და მოითხოვს სქესთა თანასწორობას. სორუში აანალიზებს იმ გარემოებებს, რამაც განაპირობა მუსლიმურ ქვეყნებში და, მათ შორის, ირანშიც ქალის უფლებების შელახვა. ეს, პირველ რიგში, გახლავთ რელიგიური ლიტერატურა, რომელსაც იყენებს რელიგიურ მოღვწეთა თუ სწავლულთა უმეტესობა. ავიღოთ თუნდაც ყურანი, სადაც კაცი გაცილებით მეტჯერ არის ნახსენები, ვიდრე ქალი და რომ სწორედ კაცს პირდება ყურანი სამოთხეში განცხრომას და არა ქალს... ქალის როლი და ფუნქცია ასევე ძალიან დაკნინებულია სხვადასხვა სწავლულების შრომებში. ავიღოთ ქორწინება თუნდაც, სადაც ქალი მოხსენიებულია როგორც კაცის ტყვე, რომელმაც მის, როგორც პატრონის, მფლობელობის ქვეშ უნდა იცხოვროს. ზოგი რელიგიური ტექსტი ქალს სატანის იარაღს უწოდებს, რომელიც კაცის გონებას იმორჩილებს და მის გონებრივ და მორალურ სრულყოფას უშლის ხელს. მოჰყავს რა მსგავსი მაგალითები სორუშს, ასკვნის, რომ ქალი როლის დაკნინდება ისლამურ საზოგადოებაში სწორედ აღნიშნულმა ტექსტებმა გამოიწვია [8]. სწორედ ამიტომ სორუში ერმანეთისაგან მიჯნავს რელიგიურ ცოდნასა და რელიგიას და აღნიშნავს, რომ რამდენადაც ეს უკანასკნელი შეუცვლელია და წმინდა, მეორე – ადამიანის "შემოქმედების" ნაყოფია და დროთა განმავლობაში იცვლება. რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციის არასწორი მიმართულება ართულებს რიგ საკითხებს. მთავარია, მოხდეს მათი გაშიფრვა სწორად, რაც გახსნის გზას რადიკალური და პოზიტიური ცვლილებებისკენ და პასუხს გასცემს ისეთ კითხვებს, როგორიცაა გენდერული თანასწორობა და ადამიანთა უფლებები [9]. შარიათის მსგავსად, სორუშიც ემხრობა ისლამის რეინტერპრეტაციას, მაგრამ პრობლემას ფილოსოფიურად არ უღრმავდება. იგი აღნიშნავს, რომ "მთავარია კარგად გავითავისოთ და შევისწავლოთ პრობლემა და მისი გადაწყვეტა მომავლის მოაზროვნეებს მივანდოთ" [8].

1980-88 წლებში ბუნებრივად მოხდა ქალთა უფელებების გადახედვა. ირან-ერაყის ომმა ქალებს გზა გაუხსნა სხვადასვხა სფეროში აქტიური მოღვაწეობისაკენ. ისინი მიდიოდნენ ბრძოლის ველზე, უვლიდნენ დაჭრილებს ჯარისკაცებისათვის მიჰქონდათ მედიკამენტები და საკვები. მამაკაცების ომში გაწვევის გამო გათავისუფლდა სამუშაო ადგილები ქალებისთვის ძირითადად ჯანდაცვისა და განათლების სფეროში. სწორედ ამ ომის დროს მოითხოვეს ქალებმა ცვლილების შეტანა საოჯახო კოდექსში ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებით, რათა მათაც შეძლებოდათ ბავშვზე მეურვეობის მიღების საშუალება [2. გვ.6]. 1985 წელს ხომეინის თხოვნით მეჯლისმა გააუქმა მუხლი, რომელიც ქალს არ აძლევდა ბავშვზე მეურვეობის საშუალებას დაქვრივების შემთხვევაში [7]. ქალები ნელ-ნელა ეკონომიკის სფეროში და პოლიტიკაშიც გამოჩნდნენ. კერძოდ, მეორე მოწვევის მეჯლისში (1984-88 წწ.) 4 ქალი იქნა არჩეული, ხოლო ხათამის პრეზიდენტობის დროს – 10.

ხომეინის გარდაცვალების (1989 წ.) შემდეგ რაფსანჯანის პრეზიდენტობის პერიოდში (1989-1997) გატარდა რეფორმები, მოხდა გარკვეული სფეროების ლიბერალიზაცია. კიდევ უფრო მეტად აქტიურდებიან ქალები. პრესაში უკვე აქტიურად გამოიხატებოდა პროტესტი ქალების დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ქვეყნდებოდა სტატიები, რომლებიც ასახავდა მათ მძიმე მდგომარეობას ოჯახებში [4].

ქალთა მოძრაობის კიდევ უფრო აქტიურ ფაზას წარმოადგენს მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის (1997-2005) პერიოდი. მის გამარჯვებაში გადამწყვეტი ქალთა ხმა

აღმოჩნდა. ხათამის პრეზიდენტობის დროს გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, განხორციელდა ცვლილებები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, საოჯახო კანონმდებლობაში. გოგონათა ქორწინების ასაკი 9-დან 13 წლამდე გაიზარდა. ხათამის დროს იქნა არჩეული პირველად ქალი – მასუმე ებთექარი – ვიცე პრეზიდენტის თანამდებობაზე. ასევე, ქალთა საკითხების სფეროში მრჩევლად ქალი დაინიშნა (ზაჰრა შოჯაი). ფაქტობრივად, ისლამური რევოლუციის შემდეგ ესენი იყვნენ პირველი ქალები, რომლებმაც დაიკავეს ასეთი მაღალი რანგის თანამდებობა. თავისი ერთ-ერთი გამოსვლის დროს ხათამიმ განაცხადა: "ქალები არ წარმოადგენენ მეორეხარისხოვან სქესს. ისტორიულად კაცები მათ უსამართლოდ ეპყრობოდნენ. ჩვენ მათ უნდა მივცეთ უფლებები, რათა მოვახდინოთ წარსულის კომპენსაცია. სწორედ ამიტომ უნდა გავხსნათ მათთვის სივრცე განათლებისა და სოციალური აქტივობის სფეროში" [3].

პრეზიდენტის პოლიტიკას, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდა სამღვდელოება. მათ 1998 წლის მაისში წარმოადგინეს პროექტი ქალთა უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებით, რასაც, თავის მხრივ, მოჰყვა საპროტესტო აქციები. მოჰამად ხათამის პრეზიდენტობის მეორე პერიოდი უკვე ნაკლებად აქტიური პოლიტიკით გამოირჩევა. პრეზიდენტი დაუახლოვდა კლერიკალებსაც.

როდესაც ვსაუბრობთ 1990-იანი წლების ქალთა მდგომარეობაზე, არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ შევაჩეროთ ქალთა პრესასა და მის როლზე. ქალთა პრესა ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან ყალიბდება და განვითარების პიკს 1990-იან წლებში აღწევს. არსებობდა მრავალი გაზეთი, მაგარამ ამჯერად ყურადღებას ყველაზე ცნობილ ჟურნალზე - "ზანან" ("ქალები") შევაჩერებთ.

რევოლუციამდელმა გაზეთმა – "ზან-ე რუზ" ("დღევანდელი ქალი") – რევოლუციის შემდგომ მკვეთრად შეცვალა ტონი. მისი სახე ჩადრიანი ქალი აღარ იყო. ის უკვე წარმოადგენდა გარკვეულ პლატფორმას და ეწინააღმდეგებოდა საოჯახო სამართლის კოდექსს. გამუდმებით ესმებოდა ხაზი ისლამის რეინტერპრეტაციის აუცილებლობას. "ზანან"-ის მტკიცებით, ჭეშმარიტი ისლამი გენდერული თვალსაზრისით ეგალიტარული იყო. განიხილებოდა ქალთა გარკვეული მოთხოვნებიც. "ზან-ე რუზის" სარედაქციო კოლეგიაში აზრთა სხვადასხვაობის გამო გაზეთი დატოვა შეჰლა შერქათმა და დააარსა ყოველთვიური ჟურნალი "ზანან" (ქალები), რომლის პირველი ნომერიც 1992 წლის თებერვალში გამოვიდა. ეს იყო უნივერსალური ჟურნალი იმ დროის ირანში, რომლის გარშემოც შეკრებილები იყვნენ არა მარტო რელიგიური, არამედ სამოქალაქო პირებიც და საზღვარგარეთ მყოფი ქალები. სტატიებს აქვეყნებდნენ მამაკაცებიც. როზა ეფთეხარი, "ზანანის" ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი, თავის 2003 წლის მოხსენებაში აცხადებდა: "ჩვენ "ზანან"-თან ერთად დავიბადეთ და ვისწავლეთ წერა. სწორედ აქ ვიპოვეთ ჩვენი ხმა" [5].

"ზანან"-ის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, წინ წამოეწია ქალთან დაკავშირებული საკითხები და გაეზარდა მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურაში, პოლიტიკაში. ჟურნალის კონცეფცია სამ ნაწილად იყოფოდა: 1. რელიგიური; 2. ფემინისტური და 3. სოციალური საკითხების განხილვა. ჟურნალი აქტიურად იბრძოდა ქალი მოსამართლეების უფლებებისთვისაც, რასაც გარკვეული შედეგი მოჰყვა და 1995 წლიდან დაუშვეს ქალი კონსულტანტების არსებობა სასამართლოებში. ჟურნალი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ფემინისტური საკითხების განხილვას. ჟურნალის ასეთი წარმატება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა ტიპის ბექგრაუნდის მქონე ქალის და ასევე მამაკაცის ერთობლივი მუშაობის შედეგი იყო [5].

იმ სეკულარისტ ქალებს შორის, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ისლამური ორიენტაციის ჟურნალებთან, გამოირჩევიან მოსამართლე შირინ ებადი, ადვოკატი მეჰრანგიზ ქარი, რეჟისორი თაჰმინე მილანი, ასევე შაჰლა ლაჰიჯი. მათ შორის ყველაზე გამორჩეული ადგილი ალბათ შირინ ებადის უკავია. იგი დღესაც აქტიურად მოღვაწეობს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. სწორედ მისი თაოსნობით დაარსდა ირანში

ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ქალების, ბავშვებსა და ლტოლვილების საკითხების მიმართ. შ. ებადი პირველი ირანელი ქალია, რომლმაც 2003 წელს მიიღო ნობელის პრემია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. შესარჩევმა კომისიამ მას "გულადი, მამაცი პიროვნება" უწოდა, რომელსაც არასდროს არ მიუქცევია ყურადღება მუქარისათვის. დღესდღეობით იგი ბევრს მოგზაურობს დასავლეთში, ატარებს ლექციებს წამყვან უნივერსიტეტებში.

რაც შეეხება ქალთა დღევანდელ მდგომარეობას ირანის ისლამურ რესპულიკაში, ის არცთუ ისე მსუბუქია. 2005 წლიდან რესპუბლიკის პრეზიდენტი კონსერვატორი მაჰმუდ აჰმადინეჟადია, რომლის პოლიტიკაც, შეიძლება ითქვას, მიმართულია ქალთა დისკრიმინაციისაკენ. ამ პოლიტიკამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი 2007-08 წლებში მიიღო. ყოველდღე იხურება ჟურნალ-გაზეთები, იბლოკება სხვადასხვა საიტები. 2008 წელს დაიხურა "ზანანიც". როგორც განმარტეს, "ზანანი" საზოგადოების ფსიქოლოგიას განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიდა. შემოიღეს მკაცრი წესები ჩაცმულობასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ქალს სახისა და ხელების გარდა რაიმე ნაწილი გამოუჩნდებოდა შიშვლად, ისჯებოდა 60 დღიანი პატიმრობით, ან 70 როზგით. ამ კანონის წინააღმდეგ 2007 წლის აპრილში მიმდინარეობდა აქციები "ბად ჰიჯაბის" (ცუდი ჰიჯაბის) სახელით, რომლის დროსაც დაკავებული იქნა 100-ობით აქტივისტი.

ასევე მიმდინარეობდა სხვადასხვა აქციები ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ. მაგალითად, "მილიონი ხელმოწერა", რომლის მთავარ მიზანსაც წარმოდგენდა გოგონათა საქორწინო ასაკის გაზრდა, ქალის ჩვენებისათვის მნიშვნელობის მინიჭება და ა.შ.

2008 წელს მ. აჰმადინეჟადმა პარლამენტს წარუდგინა "საოჯახო მხარდაჭერის პროექტი", რომლის თანახმადაც კაცს მეორე ცოლის მოყვანის უფლება ენიჭებოდა პირველი ცოლის ნებართვის გარეშე. მ. აჰმადინეჟადის დროს განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო სიღეს ინსტიტუტმა, დროებითმა ქორწინებამ, რომელიც ზოგჯერ "ლეგალიზებული პროსტიტუციის" ხასიათს ატარებს.

ასეთი დისკრიმინციის მიუხედავად, ქალები მაინც არ წყვეტენ აქტიურობას თავიანთი უფლებების გაუმჯობესების მიზნით. საკმაოდ გაიზარდა მათი რიცხვი განათლების სექტორში. დღეისათვის ირანის უნივერსიტეტებში მათი რიცხვი სჭარბობს კაცებისას და სტუდენტების საერთო რაოდენობის 60%-ს შეადგენს.

2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მ. აჰმადინეჟადი ცდილობს შედარებით ფრთხილი პოლიტიკის გატარებას ქალებთან მიმართებაში. უპრეცედენტო ფაქტად იქნა მიჩნეული მის მიერ ჯანდაცვის მინისტრად ქალის – მარზიე ვაჰიდ დათჯერდის – დანიშვნა. გარდა ამისა, დღეისათვის 200-ზე მეტი ქალთა ორგანიზაცია ფუნქციონირებს ირანში. ქალები კვლავ იკავებენ ადგილებს პარლამენტში. მაგრამ, ქვეყნის სულიერი ლიდერის აზრით, მართალია, ქალსა და მამაკაცს შორის ბუნებრივი ფიზიკური განსხვავებულობისა, მათ ადამინურ კანონებს, საზოგადოებრივ მდგომარეობასა და სულიერ ღირებულებას შორის სხვაობა არ არსებობს, მაგრამ ქალის უმთავრესი მოვალება "ძლიერი" ოჯახის შექმნაა [10]. ერთი შეხედვით, ოჯახში ხამენეი თითქოს აღიარებს გენდერულ თანასწორობას, მაგრამ მაინც ხაზს უსვამს ქალის, როგორც დიასახლისი როლს, რომ "ქალი კაცისთვისაა შექმნილი".

დასასრულს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება თუნდაც დახურულ სახელმწიფოებში საზოგადოების სრული იზოლირება მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისაგან. ზემოთმოყვანილი შეეხება ირანსაც და, კერძოდ, ქვეყანაში ქალთა ემანსიპაციის საკითხს. დავესესხებით მეჰრანგიზ ქარს, რომლის სიტყვებითაც, "ირანული საზოგადოება ვერ დარჩება სტატიკურ მდგომარეობაში. იზრდება განათლებულ ადამიანთა რიცხვი, ვითარდება ტექნოლოგიები... ასეთ ვითარებაში კი ძნელია, უთხრა ქალს: "დაბრუნდი სახლში" [6].

დამოწმებული ლიტერატურა:

1. სანიკიძე, გიორგი. *შიიზმი და სახელმწიფო ირანში.* თბილისი 2005.
2. “Women’s rights and democracy: peaceful transformation in Iran”. Hunt Alternative Fund, 2006
3. Moghaddam, Valentine. “Women in the Islamic Republic of Iran: legal status, social positions and collective action”. 2004.
4. Keddie, Nikki. “Roots an results of revolution”. Yale University press, 2006.
5. Eftekhari, Roza. “Zanan: trials and success of a feminist magazine in Iran”. Woodrow Wilson International Center for Scholars, Washington, D.C. 2003. http://www.wilsoncenter.org/topics/pubs/MEP_women.pdf
6. “Religion and politics in modern Iran”. A reader by Lloyd Ridgeoon, I.B. Tauris, 2005.
7. Halper, Louse. “Law and women’s agency in post-revolutionaryIran”. http://www.law.harvard.edu/students/orgs/jlg/vol28/halper.pdf.
8. Mir-Hosseini, Ziba. “Religious Modernists and women question: Challenges and complicities”. Twenty years of Islamic Revolution: Political and Cultural Transition in Iran since 1979. Syracusse University press, 2002, pp. 74-95.
9. Mir-Hosseini, ZIba. “The construction of gender in Islamic legal thought and strategies for reform,” http://www.drsoroush.com/PDF/E-CMO-20010610-Ziba_Mir-Hosseini.pdf.
10. http://www.isna.ir/fa/news/92022114057/-%D8%A7%DA%AF%D8%B1

ინგა ინასარიძე

არაბული ქვეყნები „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ: პირველი შედეგები

2011 წლის დრამატულმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმა, რომლებმაც მოგვიანებით „არაბული გაზაფხულის“ სახელწოდება მიიღო, თითქმის მთელი არაბული სამყარო მოიცვა. ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეგიონის ახალი პოლიტიკური სისტემების ფორმირებაზე. „არაბულმა გაზაფხულმა“ მმართველი რეჟიმების შეცვლა გამოიწვია თუნისსა და ეგვიპტეში. კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ წარმართულ ამბოხებას კი ნატოს ფართომასშტაბიანი სამხედრო ჩარევა მოჰყვა; შედეგად, ლიბიაშიც შეიცვალა მთავრობა. ალი აბდულა სალეჰმა, როგორც იქნა, უარი თქვა ძალაუფლებაზე იემენში. შედეგები, რომლებიც ამ ცვლილებებს უნდა მოჰყვეს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის კუთხით, კვლავ გაურკვეველია. მუბარაქი პასუხისგებაშია მიცემული, კადაფი მოკლულია, ბენ ალი კი საუდის არაბეთს აფარებს თავს. მაგრამ ის მმართველი ელიტები, რომლებიც მათ შექმნეს, სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც მათ ჩამოაყალიბეს, ისევ არსებობს. სირიაში დაძაბულობა მატულობს და ორივე მხრიდან სისასტიკე არნახულ მასშტაბებს იძენს. ფაქტია, რომ რეგიონის მონარქები თუ მმართველები კვლავაც არ არიან მზად რეფორმების დასაწყებად. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც უკვე შეიცვალა რეჟიმი, ფუნდამენტური ცვლილებები ჯერაც ვერ განხორციელდა და კვლავ არამდგრადია ვითარება. მართალია, ბევრი ქვეყნის ხელმძღვანელობა შეიცვალა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება ამ ცვლილების შემდგომ, უკვე ახალი მმართველობის პირობებში, რამდენად აღმოაჩნდება ყოფილ ოპოზიციას მმართველობის უნარი.

ნებისმერი რევოლუცია დიდი რისკის შემცველია. გამონაკლისი არც დემოკრატიის სახელით მოწყობილი რევოლუციებია. იმ ქვეყნებში, სადაც 2011 წელს რეჟიმის შეცვლა მოხდა, იკვეთება ერთი და იგივე ტენდენცია - საზოგადოების ისლამიზაცია. დემოკრატიული და ლიბერალური არაბული რევოლუციები მხოლოდ სიტყვებად დარჩა. რეალურად კი ეს რევოლუციები უფრო მეტად „ისლამური“ გამოვიდა.

რეგიონის ახალბედა ხელისუფლებებმა დაიწყეს მუშაობა ახალ კონსტიტუციებზე. არც ერთ პოლიტიკურ აქტორს არ წამოუყენებია ფუნდამენტური უფლებების უგულვებელყოფის საკითხი, მაგრამ განსხვავებით მაგალითად ბოსნიისგან, კენიისგან თუ სამხრეთ სუდანისგან, რეგიონის არც ერთი კონსტიტუცია არ იზიარებს მთლიანობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების სულისკვეთებას. ყოველ შემთხვევაში, ამ კონსტიტუციების უმეტესობაში საუბარი დიდწილად შარიათზეა, რაც არსებითად წინააღმდეგობაში მოდის არა იმდენად ადამიანის ზოგად საერთაშორისო უფლებებთან, რამდენადაც ქალისა და უმცირესობების უფლებების დარღვევასთან, ეს კი პრაქტიკაში ხშირად ხდება. ამიტომაც ადამიანის უფლებების დაცვის მომავალი რეგიონში კვლავაც გაურკვეველია.

იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებულად ან წარუმატებლად ითვლება „არაბული გაზაფხული“, და რამდენად დადებითად შეიძლება შეფასდეს პოსტ-რევოლუციური პერიოდი ახლო აღმოსავლეთში, მკვლევარები ორ ჯგუფად იყოფიან. ნაწილი მიიჩნევს, რომ მოქმედი ავტორიტარული მმართველები, გრძელვადიან პერსპექტივაში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მაინც გააგრძელებენ დომინირებას რეგიონის შიდა პოლიტიკურ სტრუქტურებში. ცალკეული პირები შესაძლოა შეიცვალონ, მაგრამ ავტორიტარული მმართველობის სტრუქტურის შიდა

უმრავლესობა ხელშეუხებელი რჩება. მეორე ნაწილი შედარებით ოპტიმისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ მთელს რეგიონში ავტორიტარული სისტემის დესტაბილიზაცია მოხდა, რაც თავისთავად დადებითი მოვლენაა. ერთადერთი, რაზეც ახლო აღმოსავლეთთან მიმართებაში ყველა ერთხმად თანხმდება, არის ის ფაქტი, რომ დღეს ბევრი რამ განსხვავდება იმისგან, რაც იყო 2010 წელს. ამასთან, არაბული გაზაფხულის დაწყებიდან 2.5 წლის შემდეგ, ჯერაც რთულია იმაზე საუბარი, რამდენად წარმატებულად შეიძლება მივიჩნიოთ ეს რევოლუციები.

„არაბულმა გაზაფხულმა“ განსხვავებული გავლენა იქონია ცალკეულ არაბულ ქვეყნებზე. გამომდინარე აქედან, ამ ქვეყნებს სამ კატეგორიად აჯგუფებენ. პირველი მოიცავს რეგიონის ყველაზე დიდ ნაწილს და წარმოადგენს იმ ქვეყნებს, რომლებშიც ფაქტიურად არაფერი შეცვლილა. მეორე კატეგორიაში შედიან ქვეყნები, სადაც, შეიძლება ითქვას, თანაბრად იყვნენ როგორც ცვლილების მომხრეები ანუ ამბოხებულები, ისე რეჟიმის დამცველები. ამ ბალანსმა გამოიწვია სწორედ სამოქალაქო ომი. და მესამე კატეგორია - ის ქვეყნები, სადაც შედარებით მშვიდობიანად მოხდა რეჟიმის შეცვლა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ქვეყნები, სადაც „რევოლუციის ტალღას“ პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა მოჰყვა შედეგად - მაგალითად ბენ ალის რეჟიმი თუნისში, ჰოსნი მუბარაქისა ეგვიპტეში და მუამარ კადაფისა ლიბიაში.

ამ ქვეყნებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შიდა პოლიტიკური ელიტების კონფლიქტებმა ითამაშა. მაგალითად, თუნისში ადგილი ქონდა დაპირისპირებას არმიასა და სადაზვერვო სამსახურს შორის, რომელიც ბენ ალის დასაყრდენს წარმოადგენდა და რომლის პერსონალის რაოდენობამ მისი მმართველობის განმავლობაში თითქმის ოთხჯერ გადააჭარბა არმიის რაოდენობას. ამან ერთგვარად დაარღვია არაბული სამყაროს ძალთა ტრადიციული ბალანსი და არმია ხელისუფლებას ჩამოშორდა. შესაძლოა, ამით აიხსნას პრეზიდენტისგან განდგომა და სამხედროების უარი, დაეცვათ ბენ ალი. თუნისში დაწყებული მღელვარება მასობრივ აქციებში გადაიზარდა და მალევე თითქმის მთელი არაბული სამყარო მოიცვა.

ეგვიპტის შემთხვევაში აშკარად შეინიშნებოდა კონფლიქტი სამხედრო ელიტასა და ეკონომიკურ ელიტას (რომელიც მუბარაქის ვაჟის, გამალის ირგვლივ იყო გაერთიანებული) შორის. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ეგვიპტელ გენერლებსა და გამალის მომხრეებს შორის კონფლიქტის გაღვივება (გამალის პარტნიორებს ძირითადად ქვეყნის მინისტრები ან მინისტრთა მოადგილეები შეადგენდნენ). ეგვიპტელი დემონსტრანტების სლოგანები ნათლად აჩვენებდა, რომ უკმაყოფი–ლების მთავარი მიზეზი არა სოციალური საკითხები, არამედ პოლიტიკური იყო და პრეზიდენტ მუბარაქის რეჟიმთან იყო დაკავშირებული. ეგვიპტური რევოლუცია თავდაპირველად ლიბერალ-დემოკრატიული მოთხოვნებით წარიმართებოდა ახალგაზრდა თაობის მიერ, რომელიც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ძალად იქცა. ისიც ფაქტია, რომ ეგვიპტის არჩევნებში ისლამისტების დომინირებას და გამარჯვებას არავინ გაუკვირვებია. „მუსლიმი ძმები“ ხალხის დაცვასა და საკუ–თარი ზოგად-ეროვნული ხედვის გამოხატვას, როგორც მუბარაქის, ისე სადათის მმართველობის დროსაც ახერხებდნენ. თუმცა არსებობს საფრთხე, რომ მთავარმა მოთხოვნებმა ეკონომიკური ტრანსფორმაციის შესახებ შესაძლოა უკანა პლანზე გადაიწიოს და ახალმა ძალამ, გამოუცდელმა პოლიტიკურმა აქტორებმა, მეტი ყურადღება დაუთმონ ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ჩაცმულობა, მორალის საკითხი. ეს კი თავისთავად ვერ უზრუნველყოფს რეალურ ცვლილებებს.

არც ლიბიური სცენარი წარმოადგენს განსხვავებულს. პირველ რიგში ლიბიაში ადგილი ჰქონდა შიდა ტომობრივ კონფლიქტებს. განსაკუთრებით ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის

ტომებს შორის. ეს უკანასკნელნი მიიჩნევდნენ, რომ კადაფის მმართველობის პირობებში არ გააჩნდათ ადეკვატური პოლიტიკური აქტივობის საშუალება. მითუმეტეს, რომ ლიბიის ნავთობის მთავარი საბადოები სწორედ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მეორეს მხრივ, ლიბიამ თავის თავზე გამოსცადა გაეროსა და არაბული ლიგის უკიდურესი ზომები, რომლებსაც შემდეგ ლიბიის კონფლიქტში ნატოს სამხედრო ჩარევა და დესტაბილიზაციის დასრულება მოჰყვა.

არაბული გაზაფხულის ქვეყნებს შორის ლიბია საუკეთესოდ ახდენს სუსტი ქვეყნის პრობლემის ილუსტრაციას. ქვეყანაში უკვე საკმაო ხანია, რაც დაემხო მუამარ კადაფის დიქტატორული, რეპრესიული რეჟიმი. მაგრამ ქვეყანა ამჯერად არანაკლებად მტკივნეულად განიცდის მმართველობის ნაკლებობას ან საერთოდ არქონას. განსაკუთრებით მწვავედ დგას კანონის უზენაესობის საკითხი. ლიბიის ხელისუფლებას ჯერაც არ აქვს ძალის გამოყენების რაიმე მონოპოლია. მილიცია დამოუკიდებლად მოქმედებს ქვეყნის მრავალ ნაწილში. ზოგიერთ რეგიონში მათი მხრიდან ხშირია დანაშაულების ჩადენა და ისინი დაუსჯელი რჩებიან. ათასობით ადამიანი რჩება პატიმრობაში, მათ შორის კადაფის მომხრეები. პრობლემას წარმოადგენს ასევე ყოფილი დიქტატორის ვაჟის, საიფ ალ-ისლამ კადაფის საკითხიც. ლიბია უარს აცხადებს მის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის გადაცემაზე, რის სანაცვლოდაც სამართლიანი სასამართლოს თავად ჩატარების პირობას დებს. მაგრამ ფაქტია, რომ მთავრობა მის უსაფრთხოდ დაცვას მილიციისგანაც კი ვერ უზრუნველყოფს.

ლიბიის შემთხვევაში იმის გადაჭრით თქმა ჯერაც შეუძლებელია, დაუბრუნდება ქვეყანა სამოქალაქო ომის მდგომარეობას თუ მოახერხებს გარდამავალი პერიოდის სტაბილურად გადატანას. ის ფაქტი, რომ ლიბიას დღეს არშემდგარი სახელმწიფოს ყველა ნიშანი გააჩნია, დაადასტურა როგორც რეჟიმის შეცვლის გზამ, ისე შემდგომ პოლიტიკოსთა და სამხედრო მეთაურების მოქმედებებმაც. როდესაც კადაფი მოკლეს, მან ლიბიის მოსახლეობას გაუმართავი სახელმწიფო დაუტოვა მემკვიდრეობად, სუსტი სახელისუფლებო ინსტიტუტებით. ისტორიული მემკვიდრეობისა და ნატოს მიერ განხორციელებული ქმედების წყალობით პოსტ-კადაფისეული რეჟიმს ძალზედ მცირე შესაძლებლობები აღმოაჩნდა მოვლენების სამართავად.

ბაჰრეინის შემთხვევაში ვერ ვისაუბრებთ ტოპ-ელიტებს შორის დაპირისპირებებზე, რადგან სახელისუფლებო ძალაუფლება მთლიანად მმართველი ალ-ხალიფას სამეფო ოჯახზეა გადანაწი–ლებული. ამგვარად, წინააღმდეგობა ძირითადად არსებობს ქვეყნის სუნიტ უმცირესობასა და შიიტ უმრავლესობას შორის, რომლებიც მეტ პოლიტიკურ ჩართულობას ითხოვენ ქვეყნის საქმეებში.

ამ სახელმწიფოს შემთხვევაში ოპოზიციის გამოსვლები კარგად იყო ორგანიზებული. ბაჰრეინის ოპოზიციას ხელისუფლებასთან კონფრონტაციის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, რაც ქვეყნის სპეციფიკითაა გამოწვეული. ხელისუფლება თავიდანვე ღებულობდა გარკვეულ ზომებს, რომ ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა ოპოზიციის წარმომადგენელთა მოთხოვნები, მაგრამ ეს უკანასკნელნი დროდადრო მაინც აწყობდნენ გამოსვლებს, თავიანთი მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ქმედება ფაქტიურად ანგრევს იმ პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც მისმა მამამ, ჰაფეზმა შექმნა 37 წლიანი მმართველობის განმავლობაში. (როგორც კი „არაბული გაზაფხული“ დაიწყო, მმართველი პოლიტიკური ელიტა სირიაში გაიყო). საერთაშორისო შუამავლების ძალისხმევა სისხლიანი კრიზისის დასაძლევად ამ დრომდე უშედეგოა. არც მთავრობა მიდის რაიმე სახის კომპრომისზე და ოპოზიციური მხარეც

ძალზედ არათანმიმდევრულია, რის გამოც ვერც რეჟიმის დამხობას ახერხებს და მოლაპარაკებების გამართვაც შეუძლებელია.

იემენში მოვლენები შედარებით განსხვავებულად წარიმართა, პირველ რიგში იემენური საზოგადოების ტომობრივი სტრუქტურიდან გამომდინარე. ამ ქვეყანაში რეჟიმმა ვერ შეძლო ამბოხებულების დაშოშმინება და ამასთან, ვერ მოხერხდა რეჟიმის შეცვლაც. მართალია ალი აბდულა სალეჰი აღარაა ხელისუფლების სათავეში, მაგრამ მისი ვაჟები კვლავ იკავებენ ხელისუფლებაში საკვანძო ადგილებს.

ლიბანში ამბოხებულებს ძირითადად პოლიტიკური მოთხოვნები ჰქონდათ. ისინი დაკავშირებული იყო ჰეზბოლას (ჰიზბ ალლაჰის) და გაეროს სპეციალურ, ლიბანის ტრიბუნალს შორის დაპირისპირებასთან (ეს ტრიბუნალი ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მკვლელობის საქმეს იკვლევს). ისინი ასევე ითხოვდნენ ჰეზბოლას განიარაღებასა და რადიკალურ პოლიტიკურ რეფორმებს, რაც გულისხმობს ლიბანის საკმაოდ „არქაული“ კონფესიური პოლიტიკური სისტემიდან შედარებით „თანამედროვეზე“გადასვლას.

ანალოგიური ვითარება შეინიშნებოდა ალჟირშიც. იმ განსხვავებით, რომ მღელვარება აქ გამოწვეული იყო უპირველესად სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. ამ შემთხვევაში ამბო–ხებას ბიძგი მისცა 2011 წლის იანვარში პროდუქტებზე ფასების ზრდამ. სისხლიანი სამოქალაქო ომი ალჟირში მხოლოდ გასულ წელს დასრულდა. საერთო შეფასებით, პრეზიდენტი აბდელაზიზ ბოუთეფლიკა ნაკლებად დაცული აღმოჩნდა სხვა არაბული ქვეყნების ლიდერებისგან განსხვა–ვებით, რამდენადაც მას არ ყავს შვილები და შესაბამისად - მემკვიდრე-დასაყრდენი ქვეყანაში.

რაც შეეხება ერაყს, იმ საპროტესტო ტალღას, რაც ქვეყანაში ეგვიპტისა და თუნისის მოვლენების შემდეგ გაჩნდა, არ გამოუწვევია ქვეყანაში პოლიტიკური სისტემის ცვლილებები. აქ უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი დაკავშირებულია ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, უსაფრთხოების სისტემასთან და კორუფციის მაღალ მაჩვენებელთან. თუმცა, ქვეყანაში სიტუაციის უფრო დაძაბულ ფაზაში გადასვლის საფრთხე ჯერაც არსებობს. მითუმეტეს, რომ ერაყზე გავლენას ახდენს სირიაში არსებული მდგომარეობაც.

არაბული სახელმწიფოების სხვა ჯგუფმა ერთგვარი „იმუნიტეტი“ გამოამჟღავნა „არაბული გაზაფხულის“ სოციალურ-პოლიტიკური მღელვარების ტალღის მიმართ. ამ ქვეყნებში საპრო–ტესტო გამოსვლები არც ისე მასშტაბური იყო. საპროტესტო გამოსვლები იშვიათი იყო და სიტუ–აციის განმუხტვა პოლიტიკური სისტემის „კოსმეტიკური“ რეფორმების მეშვეობით მოხერხდა.

ქუვეითში ოპოზიცია, რომელსაც ძირითადად ახალგაზრდები უჭერდნენ მხარს, ითხოვდა და მიაღწია კიდეც პრემიერ-მინისტრის გადაყენებას, რომელიც კორუფციაში იყო მხილებული. შედეგად, მღელვარება ჩაცხრა. მითუმეტეს, ქუვეითში თავიდანვე არ ყოფილა გამოსვლების მიზანი არსებული მთავრობის შეცვლა.

ომანში ოპოზიციის ძირითადი მოთხოვნები ეკონომიკური ხასიათის იყო. თუმცა, აქ ოპოზიცია, როგორც წესი ცდილობს სულტანთან თანამშრომლობას. საპროტესტო გამოსვლები ომანში სხვა არაბულ ქვეყნებში (თუნისი, ეგვიპტე, ლიბია, მეზობელი ბაჰრეინი) განვითარებული მოვლენების შედეგად დაიწყო. ამ დროისთვის სასულტნოში რეალურად კარგად ორგანიზებული ოპოზიცია არც არსებობს. ამიტომ, ხელისუფლებას არ გაჭირვებია მოვლენებზე დროულად კონტროლის დამყარება.

საუდის არაბეთს არაბულ რეგიონში მიმდინარე მოძრაობების მრავალმხრივი გავლენის გადატანა მოუხდა. 2011 წელს ამ მოვლენებმა საუდის არაბეთის ხელისუფლება აიძულა

აქტიურად ემოქმედა, რათა ქვეყანას რეგიონულ ასპარეზზე წინამავალი როლი შეენარჩუნებინა. მეზობელ ბაჰრეინში გამწვავებული ვითარების დასარეგულირებლად საუდის არაბეთმა, გაერთიანებულ საამიროებთან ერთად, იქ ჯარი შეიყვანა. საუდის არაბეთის მთავრობამ „პირობითი დიალოგის“ წამოწყებისა და ხელისუფლებასა და ოპოზიციურ „ლიბერალებს“ შორის თანამშრომლობის შესახებაც გააკეთა განცხადება.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა არაბული სახელმწიფო არ მოუცავს საპროტესტო გამოსვლებს. კატარსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს ფაქტიურად არც შეხებია მასობრივი გამოსვლების ტალღა. ზოგადად, ყურის ამ მონარქიებში არც ისე მაღალია საზოგადოების პოლიტიზაციის დონე. პოლიტიკური ოპოზიცია პრაქტიკულად არც არსებობს. ამ ქვეყნებს საერთოდ არ აქვთ საპარლამენტო ცხოვრების გამოცდილება; არ ყავთ არჩეული პარლამენტი (პირველი არჩევნები კატარში 2013 წლის მეორე ნახევარში უნდა გაიმართოს). ამ ქვეყნებში ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებს უკმაყოფილების ნებისმიერ გამოვლენას, მიმართავს რა როგორც სადამსჯელო სანქციებს, ისე ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის ზომებს.

ამდენად, „არაბული გაზაფხული“ გაკვეულწილად ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ახალი პერიოდის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. თუმცა, დღეისათვის კონკრეტული პროგნოზების გაკეთება რთულია, რამდენადაც ამ ქვეყნებში ძირეული ტრანსფორმაციის პროცესები ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Dodge, Toby. *Conclusion: the Middle East After the Arab Spring. 2012*
http://www2.lse.ac.uk/IDEAS/publications/reports/pdf/SR011/FINAL_LSE_IDEAS__ConclusionsTheMiddleEastAfterTheArabSpring_Dodge.pdf
Babar, Zahra *The Arab Spring 18 Months Later: More Questions Than answers.*
http://cirs.georgetown.edu/research/300441.html
Human Right Watch *World Report 2013.* http://www.hrw.org/world-report/2013
http://www.hse.ru/org/hse/cfi/lab_mr/news/79646328.html
http://orientnews.ru/policy/islam-stal-blizhe-vostoku-ot-arabskix-revolyucij-vyigrali-musulmanskie-radikaly.html
https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/index.html
http://www.freedomhouse.org/report/countries-crossroads-2012/divergence-and-decline-middle-east-and-world-after-arab-spring
http://www.bbc.co.uk/news/world-middle-east-14540571
http://news.yahoo.com/talks-end-bahrain-crisis-begin-amid-mistrust-141252624.html
http://www.reuters.com/article/2011/06/20/us-tunisia-benali-trial-idUSTRE75J2A020110620
http://www.reuters.com/article/2013/05/23/us-tunisia-salafists-analysis-idUSBRE94M05R20130523
http://www.globalaffairs.ru/number/Arabskaya-vesna--tuman-i-trevoga-15957
http://modernpolitics.ru/2012/05/blizhnijj-vostok-posle-arabskojj-vesny/

სიმონ გურეშიძე

„ძმები მუსლიმები“ და კოპტები

მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ეგვიპტეში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს თან დაერთო რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი მწვავე დაპირისპირებების ტალღა. მსგავს მოვლენებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60–იანი წლების პერიოდიდან ჰქონდა ადგილი, მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს, რადგან ქვეყნის ხელისუფლების სათავეში დგას ისლამისტური ორიენტაციის მქონე მმართველი ძალა.

პრეზიდენტ ანვარ სადათის მმართველობის პერიოდში, ის ისლამისტურ დაჯგუფებებს იყენებდა როგორც ქრისტიანების, ისე მემარცხენე ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ძალებისა და სტუდენტური აქტივობების წინააღმდეგ.

ჰოსნი მუბარაქის პრეზიდენტობის განმავლობაში კოპტებს თავს ესხმოდნენ ის ისლამისტები, რომელთაც მუბარაქისვე რეჟიმი საკმაოდ ძლიერად ავიწროვებდა. არსებობს გარკვეული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ მუბარაქმა მოახდინა ქვეყნის სპეცსამსახურების მობილიზება, რათა წარმოქმნილიყო დაპირისპირებები და ძალადობა რელიგიურ ნიადაგზე. ამ ჩანაფიქრის იდეა კი მდგომარეობდა იმაში, რომ ქრისტიანებს გასჩენოდათ დაუცველობის შეგრძნება და მის მმართველობაზე დამოკიდებულები გამხდარიყვნენ, შედეგად კი ისევ მათ უნდა შეესრულებინათ მისი რეჟიმის ერთ–ერთი მთავარი საყრდენის როლი ისლამისტი კონსერვატორების წინააღმდეგ.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაპირისპირებების მრავალი ეპიზოდი გამოწვეული იყო რიგითი მოქალაქეების ქმედებების შედეგად, მაგრამ იყო სახელმწიფოს მხრიდან პროვოცირებული მომენტებიც. ამის ერთ–ერთ ყველაზე ნათელ მაგალითად ითვლება არმიის თავდასხმა კოპტების მსვლელობაზე მასპეროს ქუჩაზე სახელმწიფო ტელევიზიის შენობასთან 2011 წელს.

ამ შეტაკებამდე ცოტა ხნით ადრე გაისმოდა ბრალდებები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო თვალს ხუჭავდა რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილ ძალადობრივ ფაქტებზე. მასპეროს შემთხვევას ემსხვერპლა 28 ადამიანი, რომელთა უმრავლესობასაც კოპტები წარმოადგენდნენ. ეს იყო მეორე მასშტაბური მსხვერპლი მეზობელ რაიონ ზავია ალ–ჰამრაში 1981 წელს 81 კოპტის მკვლელობის შემდეგ.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში შეიმჩნევა დაუსჯელობის ტენდენციის განმტკიცებაც. არ მომხდარა კოპტებზე თავდამსხმელი პირების იდენტიფიცირება შესაბამისი სამსახურების მიერ და ხშირად ამის მიზეზად მტკიცებულებების უქონლობას ასახლებდნენ. 2000 წელს ზემო ეგვიპტის სოფელ ქოშეში 20 კოპტი დაიღუპა შეტაკების შედეგად, ერთი წლის შემდეგ ეჭვმიტანილთა უმრავლესობა, 90 ადამიანზე მეტი, გაამართლეს და გაათავისუფლეს.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ დაუსჯელობის სინდრომზე ყურადღება გამახვილებული იყო გასული წლის აგვისტოშიც. სოფელ დაშურაში, გიზის რაიონის სამხრეთით, რამდენიმე დღიანმა შეტაკებებმა იფეთქა მუსლიმებსა და კოპტებს შორის, რის შედეგადაც, საერთო ჯამში, სამი ადამიანი დაიღუპა. ორივე მხარე დაპირისპირების დროს იყენებდა მოლოტოვის კოქტეილებს რასაც თავიდან ერთი მუსლიმის – მუყაზ მუჰამმად აჰმადის დაღუპვა მოჰყვა. საპასუხოდ, მუსლიმმა ახალგაზრდებმა სცადეს „წმინდა გიორგის“ ეკლესიაში შეჭრა, რაც, თავის მხრივ, პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა. ასევე რამოდენიმე ქრისტიანულმა ოჯახმა დატოვა თავის საცხოვრებელი ადგილი, რადგან ეშინოდათ მუსლიმთა შურისძიების, თუმცა, უშიშროების ძალების საკმაო რაოდენობა იქნა მობილიზებული ყველა ქუჩაზე, რათა არ მომხდარიყო განმეორებითი შეტაკება. დაპირისპირება წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ერთ–ერთმა მუსლიმმა კლიენტმა ქრისტიანი მრეცხავი დაადანაშაულა იმაში, რომ თითქოსდა მან მისი პერანგი დაწვა დაუთოვების დროს. მომხდარი ფაქტი იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ როდესაც საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წამოჭრილი უმნიშვნელო

კამათი გადადის ფართომასშტაბიან დაპირისპირებაში, სიტუაცია უკვე საკმაოდ დაძაბულია და კონფლიქტს გაცილებით უფრო ღრმა ფესვები გააჩნია, ვიდრე ეს გარეგნულად ჩანს.

პრეზიდენტობის ყოფილმა კანდიდატმა და მუბარაქის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამრ მუსამ, მომხდარი შეაფასა, როგორც დიდი რისკის ფაქტორი მთლიანად ეგვიპტური საზოგადოებისათვის. ხოლო ლიბერალურმა პარტიებმა კი რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტის ესკალაციის თავიდან არ აცილების, მუყაზ მუჰამადის სიკვდილსა და 130 კოპტური ოჯახის მიერ საცხოვრებლის დატოვების გამო პასუხისმგებლობა ქვეყნის პრეზიდენტს დააკისრეს და მოსთხოვეს გადამწყვეტი ზომების მიღება.

„თავისუფალ ეგვიპტელთა“ ლიბერალური პარტიის ლიდერმა დოქტორმა საიდ აჰმედმა დაგმო „წმინდა გიორგის“ ეკლესიაზე მომხდარი თავდასხმა და კოპტთა სახლების დაწვის ფაქტები. პარტიის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ქვეყანაში არსებობს ხალხის კატეგორია რომლებიც „ქმნიან მტრულ ატმოსფეროს და ცდილობენ თევზის დაჭერას მღვრიე წყალში“. იგი ადანაშაულებდა პრეზიდენტს ჩაურევლობაში და ასევე პასუხს სთხოვდა სახელმწიფო ორგანოებს, რომლებმაც არ მიიღეს სათანადო ზომები კრიზისის დასაწყისში. განცხადებაში ასევე დაგმობილი იყო პოლიტიკური ნების არქონა რადიკალიზმის დასრულებისა და მოქალაქეებს შორის თანასწორობის პრინციპების შემოღების შესახებ. ბოლოს კი მან მოითხოვა დამნაშავეთა დასჯა განურჩევლად მათი რელიგიური თუ სოციალური კუთვნილებისა.

თავის მხრივ პარტია „ეგვიპტელთა ცხოვრების“ ლიდერმა აბუ–ჰამადმაც მომხდარზე პასუხისმგებლობა პრეზიდენტს დააკისრა და მოუწოდა ხელისუფლებას დაებრუნებინათ დაშურადან აყრილი 130 კოპტური ოჯახი და გადაეხადათ მათთვის კუთვნილი კომპენსაციები.

მოგვიანებით ადამიანის უფლებათა დაცვის ნაციონალურმა საბჭომ თავისი მისია მიავლინა დაშურაში. საბჭოს ვიცე–პრეზიდენტის მუჰამმად ფაიკის განცხადებით, მისიის მიზანი იყო ფაქტების დაზუსტება. მან ასევე ხაზი გაუსვა იმასაც, რომ რელიგიათაშორისი დაპირისპირების მიზეზი დაუსჯელობის სინდრომია. გარდა ადამიანის უფლებათა დამცველი საბჭოსი, შემთხვევის ადგილზე სიტუაციის შესასწავლად შურას (პარლამენტის ზედა პალატა) კომისიაც ჩავიდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუჰამმად აბდ ალ–მაჯიდ ფაკი. მისი ვიზიტი მიზნად ისახავდა დაძაბული სიტუაციის განუხტვას. აბდ–ალ მაჯიდთან ერთად იმყოფებოდა გიზის რაიონის გუბერნატორი, რომელმაც განაცხადა, რომ აუცილებელი იყო ტოლერანტობის შეგრძნების ამაღლება და კომპენსაციების გაცემა დაზარალებულთათვის. დაძაბულობა ამით, საბოლოო ჯამში, მაინც არ განიმუხტა და აღმოსავლეთის ნაწილის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად, მომდევნო დღეებში ზაკაზიკის რაიონში ცივი იარაღისა და მოლოტოვის კოქტეილების გამოყენებით კვლავ მოხდა დაპირისპირება მუსლიმებსა და კოპტებს შორის ფინანსურ ნიადაგზე წამოჭრილი კამათის გამო, თუმცა, სამართალდამცავმა ორგანოებმა შეძლეს სიტუაციის კონტროლზე აყვანა.

პერმანენტული დაპირისპირებები აღნიშნული მიზეზით 1968 წლიდან საშუალოდ ორ–სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა. 2011 წლის დასაწყისში ალექსანდრიის კოპტურ ეკლესიაში ამოქმედდა ასაფეთქებელი მოწყობილობა რასაც 23 მლოცველის სიცოცხლე შეეწირა.

ეგვიპტე 1952 წელს გარდაიქმნა რესპუბლიკად, მანამდე არსებული მონარქიული წყობის პერიოდში რელიგიური მოტივაციით გამოწვეული ძალადობის შემთხვევა იყო 1910 წელს კოპტი პრემიერ–მინისტრის ბუტროს ფაშა ღალის მკვლელობა, ამ აქტის განხორციელებამდე ქრისტიანებს ბრიტანული კოლონიალიზმის აგენტებად მიიჩნევდნენ და ღალის აკრიტიკებდნენ ბრიტანელებთან თანამშრომლობის გამო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ეგვიპტის ნაციონალისტური პარტიის წევრები ქრისტიანთა ტყავისგან ფეხსაცმელების შეკერვის მოწოდებებსაც კი აკეთებდნენ. 1911 წელს კოპტებმა მოაწყვეს კონფერენცია და განაცხადეს რომ ისინი სერიოზულ დისკრიმინაციას აწყდებოდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა, ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და ეგვიპტელ ნაციონალისტთა ლიდერებმა შეწყვიტეს საზოგადოების დაყოფა რელიგიური ნიშნით და ორივე აღმსარებლობის მიმდევრებს მოუწოდეს გაერთიანებული ძალებით ემოქმედათ ოკუპაციის წინააღმდეგ.

2013 წლის აპრილის დასაწყისში მომხდარი დაპირისპირებაში ბრალი ედება ქრისტიანულ ოჯახს ქოშუშის რაიონიდან. სამირ ისკანდერი და მისი ორი შვილი ნაგიბი და ფარუკ ავადი პროკურატურაში დაიბარეს დასაკითხად, ხოლო მათ სახლს პოლიციის დაცვა მიუჩინეს შემდგომი თავდასხმების თავიდან აცილების მიზნით.

შვიდი ადამიანი დაიღუპა ქრისტიანებისა და მუსლიმების შეტაკების შედეგად ქოსუშში, კალიუბიის რაიონში 5 აპრილს, ინციდენტი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ თითქოსდა ორმა მოზარდმა ნაცისტური სვასტიკა დახატა ერთ–ერთი მუსლიმური სასწავლებლის კედელზე. დამატებით ორი ადამიანი ემსხვერპლა კაიროში აღნიშნული დაპირისპირების დროს დაღუპულთა დაკრძალვის ცერემონიალის დროს როდესაც პროცესიას უცნობი პირები დაესხნენ თავს. ოდნავ მოგვიანებით ეგვიპტის კოპტურმა ეკლესიამ პრეზიდენტ მუჰამმად მურსის წაუყენა რამდენიმე მოთხოვნა რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

თურქული მედიასაშუალების „ანადოლუს“ მიერ გავრცელებული ცნობების თანახმად, პატრიარქ თავადროს II–ს პირადმა მდივანმა მამა მაკარი ჰაბიბმა განაცხადა: „პრეზიდენტმა უნდა მიიღოს კანონი ყველასათვის, რაც განაპირობებს უსაფრთხოებას მთელს ქვეყანაში, მთლიანად ამოქმედდეს მოქალაქეობის პრინციპი, შეიცვალოს რელიგიური დისკურსი და სკოლებში დაიწყოს კოპტთა ისტორიის სწავლება. შესაბამისი კანონის არარსებობის გამო, კოპტები მიჩნეული არიან მეორეხარისხოვან მოქალაქეებად და რაც დღეს ხდება, არის პრეზიდენტ მუბარაქის 30 წლიანი მმართველობის დროს წარმოქმნილი პრობლემების შედეგი.“ მისივე განმარტებით, აუცილებლად უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც ხელს უწყობს დაპირისპირების გაღვივებას რელიგიურ ნიადაგზე. მან ასევე მიუთითა ერთ–ერთი მეჩეთის იმამზე, რომელმაც განაცხადა, რომ „ვინც იპოვნის კოპტს, უნდა მოკლას“.

კოპტური ეკლესიის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ქვეყნის მოსახლეობის 20%–ს წარმოადგენენ (სინამდვილეში 10%–ს არ უნდა აღემატებოდნენ – ს.გ.) და ეს ნიშნავს იმას, რომ 500 ადგილიან პარლამენტში 100 ადგილი მათ ეკუთვნით და შესაბამისად უნდა ინიშნებოდნენ თანამდებობებზე სამინისტროებში, არმიაში, პოლიციაში, უნდა ეკავოთ გუბერნატორების პოსტი და ასევე იყვნენ უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებიც.

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა მურსიმ განაცხადა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს დისკრიმინაციას რასობრივ ან რელიგიურ ნიადაგზე და მსგავსი საქციელი მან შეაფასა როგორც რევოლუციის წინააღმდეგ მოწყობილი საბოტაჟი. მისი განმარტებით, კანონისა და კონსტიტუციის წინაშე ყველა ეგვიპტელი თანაბარია.

საბოლოოდ უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატა და პრობლემების გადაჭრის გეგმა წარმოადგინა ისლამური უნივერსიტეტის ალ–აზჰარის დიდმა შეიხმა აჰმად ალ–ტაიბმა მიმდინარე წლის მარტის თვეში. მისი განაცხადებით, ეგვიპტეში არ არსებობს რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირება და ის ცალკეული შემთხვევები, რომელთაც ადგილი აქვთ დროდადრო, გამოწვეულია სოციალური და პოლიტიკური მიზეზებით. მან ქრისტიან და მუსლიმ სასულიერო პირებს მოუწოდა წინ აღუდგნენ ნებისმიერ რადიკალს – იქნება ეს მუსლიმების თუ ქრისტიანების მხრიდან. ალ–ტაიბი სიტყვით გამოვიდა „ეგვიპტური სახლის“ მიერ ორგანიზებულ სესიაზე სახელწოდებით „ერთად ეგვიპტისთვის“. სხდომის ერთ–ერთმა დამსწრემ დიდ შეიხს შეკითხვა დაუსვა სალაფიტების მხრიდან ქრისტიანების მიმართ გამოხატული მტრული დამოკიდებულების შესახებ, რაზეც ალ–ატიბმა უპასუხა რომ ყველა საზოგადოებაში არსებობენ მსგავსი ტიპის ელემენტები. ხოლო სალაფიტებმა ალ–აზჰარში გამართულ შეხვედრაზე დაადასტურეს თავიანთი მზადყოფნა იმის შესახებ, რომ არ დაუშვებენ არეულობებს და ეგვიპტელი ხალხის ორად გაყოფას. საბოლოოდ შეიმუშავეს რეკომენდაცია ხალხის დაახლოების და გაერთიანებისთვის სამუშაოების გაწევის შესახებ. განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭება პრობლემატურ პროვინციებს, საბოლოო მიზანი კი არის მორწმუნეთა ჯგუფის მომზადება რომლებიც გაავრცელებენ ტოლერანტობის ფასეულობებს მოსახლეობაში.

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ „ძმები მუსლიმების“ ხელისუფლების სათავეში მოსვლას კოპტებისათვის სასიკეთო ძვრები არ მოჰყოლია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მურსი ქრისტიანული აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნის ცერემონიალს არ დასწრებია. მკვლევართა აზრით ეს ნაბიჯი პრეზიდენტისგან მოსალოდნელი იყო, რადგან იგი ასევე არ მისულა თავადროს II–ის პატრიარქად კურთხევის ცერემონილზე გასულ წელს. იგი ერთადერთხელ დაესწრო ქრისტინული შობის დღესასწაულს, როდესაც „ძმები მუსლიმების“ ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და მან ცერემონიალი მსახურების დაწყებამდე დატოვა. არსებობს მოსაზრებები, რომ პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება „ძმების“ მიერ გამოცემული ფეთვის გამომახილი იყო, რომლის ავტორია ამავე ორგანიზაციის ერთ–ერთი ლიდერი რაჰმან ალ–ბარი. ალ–ბარი თავის მიერ შემუშავებულ რეგულაციაში, რომელმაც დიდი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებაში, ციტირებას ახდენს ყურანიდან და ამტკიცებს, რომ მუსლიმთა მილოცვები ქრისტიანების მიმართ თანხვედრაში უნდა მოდიოდეს ისლამში არსებულ შეხედულებებთან. სხვა სიტყვებით, იგი აღნიშნავს რომ მუსლიმებს აღდგომის დღესასწაულის მილოცვა არ შეუძლიათ ქრისტიანებისთვის, რადგან მათი რწმენის თანახმად, იესო ქრისტე არ მოუკლავთ. ზოგადად ისლამში მიჩნეულია რომ (იესო) უფალთან ამაღლდა და შესაბამისად მისი აღდგომაც ვერ მოხდებოდა. მისივე განმარტეებით დასაშვებია მხოლოდ ფორმალური მილოცვა „ქულლუ სანა ვა ანთუმ ტაიბუნ – გისურვებთ მთელი წელი კარგად ყოფნას“, რაც ნებისმიერი სადღესასწაულო დღის მილოცვისას გამოიყენება არაბულ ქვვეყნებში. ალ–ბარი იქვე აღნიშნავს, რომ ქრისტიანებისთვის შობის დღესასწაულის მილოცვა შეუძლიათ ქრისტიანებს, რადგან ისლამური სწავლების მიხედვით, ქრისტე ადამიანი მოციქული იყო და მისი დაბადების (შობის) ფაქტი დასაშვები და მისაღებია. დასავლელ ექსპერტებს გააჩნიათ გარკვეული მოსაზრება იმის შესახებ, რომ აღნიშნული ფეთვა იძლევა გარკვეული შეშფოთების საფუძველს იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება ექნებათ მომავალში „ძმებს“ უმცირესობების მიმართ.

„ძმები მუსლიმების“ გარდა იგივე პოზიცია დააფიქსირა სალაფიტური მოძრაობის ცნობილმა წარმომადგენელმა ჰიშამ ქამილმაც მასმედიისთვის მიცემულ ინტერვიუში. მან კატეგორიულად აუკრძალა მუსლიმებს კოპტებისთვის აღდგომის დღესასწაულის მილოცვა რადგან მისი განმარტებით მსგავსი ქმედება დიდ ცოდვად ითვლება; მეტიც ქამილსთვის ასევე მიუღებელია მუსლიმმა ქმარმა მიულოცოს ქრისტიან ცოლს აღნიშნული დღესასწაული.

გამოყენებული წყაროები:

http://www.egyptindependent.com/news/coptic-church-submits-demands-morsy
http://www.egyptindependent.com/news/roots-religious-violence-lie-both-state-and-society
http://www.egyptindependent.com/news/morsy-i-will-not-allow-assaults-places-worship?utm_source=dlvr.it
http://www.egyptindependent.com/news/khosous-christian-family-surrenders-police
http://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/no-happy-easter-the-muslim-brotherhoods-bizarre-religious-intolerance
http://www.almasryalyoum.com/node/1623341
http://www.youtube.com/watch?v=40bCeQdmEqc
http://gate.ahram.org.eg/News/331259.aspx
http://www.egyptindependent.com/news/video-shows-angry-mob-stripping-christian-women
http://www.almasryalyoum.com/node/1633401
http://www.islamnews.ru/news-139445.html
http://www.alarabiya.net/ar/arab-and-world/egypt/2013/04/30/%D8%AA%D8%B5%D8%B1%D9%8A%D8%AD%D8%A7%D8%AA-...
http://www.almasryalyoum.com/node/1024586
http://www.almasryalyoum.com/node/1024431
http://www.bbc.co.uk/news/world-middle-east-19089474
http://www.almasryalyoum.com/node/1024951

მარიამ გურეშიძე

სირიის სამოქალაქო ომი და დაძაბულობის ესკალაცია რეგიონში

მაისის დასაწყისში ისრაელის სამხედრო თვითმფრინავებმა დამასკოზე სარაკეტო დატყმები განახორციელეს. ოფიციალური თელ–ავივის განცხადებით, სამიზნეს მეზობელი ლიბანიდან სირიაში ჰიზბ ალ-ლაჰის მიერ გადატანილი შეიარაღება წარმოადგენდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისრაელის მხრიდან განხორციელებული საჰაერო თავდასხმის გეგმა ისრაელის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე დამტკიცდა პრემიერ მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს წარდგენით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სირიის ელჩმა, ბაშარ ჯეფრიმ განაცხადა, რომ ისრაელის მხრიდან სირიაზე თავდასხმის ფაქტი მისთვის CNN-ის საინფორმაციო გამოშვებით გახდა ცნობილი. სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფეისალ ალ–მეკდადმა CNN-ის კორესპონდეტთან საუბრისას მომხდარი ფაქტის შესახებ განაცხადა, რომ სამხედრო ობიექტებზე დარტყმა ისრაელის მხრიდან ასადის რეჟიმის წინააღმდეგ „ომის გამოცხადება“ იყო. სირიის სახელმწიფო სატელევიზიო არხმა კი ისრაელის მხრიდან დარტყმები პრეზიდენტ ბაშარ ალ–ასადის მომხრე ჯარების აჯანყებულებთან ბრძოლის საპასუხო ქმედებად შეაფასა.

სამოქალაქო ომი სირიაში, რომელიც პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებით დაიწყო, უკვე ორი წელია გრძელდება. საერთაშორისო თანამეგობრობამ ამ პერიოდის განმავლობაში კონფლიქტის დასარეგულირებლად ერთიანი გეგმა ვერ შეიმუშავა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სირიის სამოქალაქო ომთან დაკავშირებით მთელი რიგი რეზოლუციების პროექტები შეიქმნა, თუმცა მათი განხორციელება უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო დაიბლოკა. დღესდღეობით კი აშშ და რუსეთი შეთანხმდნენ საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზების აუცილებლობაზე, რომელზეც უნდა განიხილოს სირიის კონფლიქტის დარეგულირების გზები. თუმცა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ რუსეთის მხრიდან სირიისათვის სარაკეტო სისტემების მიწოდება ახლო აღმოსავლეთში „არასტაბილურ სიტუაციას“ შექმნის და ისრაელის უსაფრთხოებას მოწყვლადს გახდის. სირიამ რუსეთს ცხრაასი მილიონი დოლარი გადაუხადა C-300 ტიპის ოთხი გათვლის, ექვსი გამშვები დანადგარის და 200 კმ-ზე გათვლილი 144 რაკეტის შესყიდვაში. ჰიზბ ალლაჰის მხრიდან შეიარაღების მიწოდების აღსაკვეთად განახორციელა.

სრიაში შექმნილი მდგომარეობა და სამომავლო მქომედებების ვარიანტები განიხილეს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კამერონმა. აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, საკმაოდ რთული იქნება სირიაში არსებული პრობლემების დარეგულირება, რადგან არსებობს ასევე ირანისა და ჰიზბ ალლაჰის ფაქტორებიც. „ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ შუამავლები სამშვიდობო პოლიტიკურ ცვლილებებში, რომელიც გამოიწვევს ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებიდან წასვლას. სირიის სახელმწიფოში, სადაც გაერთიანებულია ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტერესები, სიტუაციის სტაბილიზაცია საკმაოდ რთული იქნება“- დაამატა ობამამ. ორივე ლიდერი შეთანხმდა, რომ სირიის პრეზიდენტზე უნდა განხორციელდეს ზეწოლა შემდგომი პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად. აშშ-ს პრეზიდენტის განცხადებით, იგი თანაშემწეებთან ერთად მუშაობდა, რომ ოფიციალურ მოსკოვთან არსებული აზრთა სხვადასხვაობა მინიმუმამდე შეემცირებინა (როგორც ცნობილია არსებულ კონფლიქტში რუსეთი პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს უჭერს მხარს). აღსანიშნავია ასევე, რომ ორი ლიდერის შეხვედრას აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ კერისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეხვედრა უძღოდა წინ.

სირიასთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტი ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამენ ნეთანიაჰუსაც შეხვდა. შეხვედრამდე რუსეთის პრეზიდენტის პრეს-მდივანმა დიმიტრი

პესკოვმა განაცხადა, რომ სირიაში არსებული სიტუაცია სამხედრო კონფლიქტის გამწვავებისკენ მიდის, ეს კი რუსეთისთვისაც და ისრაელისთვისაც შემაშფოთებელია.

„ნიუ–იორკ ტაიმსმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ისრაელი სირიის წინააღმდეგ გააგრძელებს სამხედრო ქმედებების განხორციელებას, ასადის რეჟიმისათვის თანამედროვე შეიარაღების მიწოდების შეწყვეტის მიზნით. „ისრაელს განსაზღვრული აქვს, რომ აღკვეთოს ჰიზბ ალ-ლაჰის მიერ (ასადის რეჟიმისათვის) იარაღის მიწოდება. ამის გაგრძელება დესტაბილიზაციას გამოიწვევს და მთელს რეგიონს საფრთხეს შეუქმნის“.

ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ისრაელი და რუსეთი ეძებენ სტაბილურობის და უსაფრთხოების გამყარების გზებს, რაც ორივე ქვეყნისთვის და საერთო მიზნებისთვის აუცილებელია. „ მოხარული ვარ, რომ ერთობლივად შეგვიძლია განვიხილოთ თუ როგორ უნდა მოხდეს რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაცია“ დაამატა ისრაელის პრემიერ მინისტრმა.

სირიის ოპოზიციის ძირითადი ჯგუფის წევრები სტამბოლში შეიკრიბნენ, რომ განეხილათ სირიასთან დაკავშირებული ამერიკულ-რუსული ინიციატივა, რომელიც მოლაპარაკების მაგიდასთან ორივე მებრძოლი ძალის შეხვედრას გულისხმობს. ჟენევაში (2013 წლის ივნისში) ამ საკითხთან დაკავშირებით კონფერენციის გამართვა იგეგმება.

შეხვედრაზე ასევე განიხილეს ოპოზიციაში არსებული შიდა საკითხები: ოპოზიციური კოალიციის გაფართოება, ახალი წევრების მიღებით; ოპოზიციის ძველი პრეზიდენტის მოაზ ალ-ხატიბის შემდეგ ახალი საპრეზიდენტო კომიტეტის არჩევა. ოპოზიციის წევრებმა ასევე უნდა აირჩიონ ვიცე პრეზიდენტი და გენერალური მდივანი.

ოპოზიციის წევრების უმრავლესობას რეჟიმთან მოლაპარაკება არ სურს, რადგან მიიჩნევენ, რომ ამგვარი კომპრომისით სირიის რეჟიმი ლეგიტიმურობას მოიპოვებს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი, სირიის „მეგობრების ჯგუფს“ იორდანიის დედაქალაქ ამანში შეხვდა და შეეცადა ოპოზიციის დარწმუნებას, რომ მათ დიპლომატიური მცდელობებისთვის დაეჭირათ მხარი. ამანის შეხვედრაში 11 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ მათ განაცხადეს, რომ სირიის გარდამავალ ხელისუფლებას უნდა დაემორჩილოს არმია. შეხვედრაზე ასევე მონაწილეობა მიიღეს ოპოზიციის ლიდერებმა: ჯორჯ საბრამ და გენერალმა სალიმ იდრისმა. ალიანსმა ასევე მოითხოვა სირიის ტერიტორიიდან ჰიზბ ალლაჰის, ირანელი და სხვა უცხოელი მებრძოლების დაუყოვნებელი გაყვანა.

სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა კი განაცხადა, რომ იგი მოლაპარაკებების საფუძველზე არ დატოვებს პოსტს, სირიის პოლიტიკური მომავალი, მისი აზრით, მხოლოდ არჩევნებით უნდა გადაწყდეს.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა თავდაპირველად განაცხადეს, რომ ჟენევის კონფერენციამდე მათ თურქეთთან და დანარჩენ მოკავშირეებთან სურდათ კონსულტაციის გავლა. თურქეთმა თავდაპირველად უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე, რომელსაც პრემიერ მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა მას „უშედეგო“ უწოდა, მაგრამ შემდგომში ოფიციალურმა ამკარამ საკუთარი პოზიცია შეამსუბუქა.

ევროპის დიპლომატიური კორპუსის ინფორმაციით ჟენევაში გამართულ კონფერენციაზე სირიის ხელისუფლებიდან ხუთი მინისტრი მიიღებს მონაწილეობას.

ვითარება სულ უფრო დაძაბული ხდება სირია–თურქეთის საზღვარზე.

სირიის საზღვართან მდებარე თურქეთის ქალაქ რიჰანიიაში ორი აფეთქება განხორციელდა. ასაფეთქებელი მოწყობილობები ცენტრალურ ქუჩაზე მდგარ მანქანებში 15 წუთის ინტერვალით ამოქმედდა. 46 ადამიანი დაიღუპა, ხოლო უამრავი დაიჭრა. სირიის ხელისუფლებამ ტერაქტთან კავშირი უარყო. სირიის ინფორმაციის მინისტრმა ომრან ალ-ზოუბიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „არავის აქვს ცრუ ბრალდებების წაყენების უფლება, სირია არასოდეს იმოქმედებს ასე, ჩვენი ფასეულობები ამგვარი ქმედების უფლებას არ გვაძლევს“. მან ასევე დაამატა, რომ თურქეთი არის პასუხისმგებელი „ყველაფერზე“, რაც სირიაში მოხდა და ასევე რიჰანიიაში განხორციელებულ ტერაქტზეც. თურქეთის ვიცე–პრემიერმა მომხდარის შესახებ განაცხადა, რომ ტერაქტში მონაწილე დაკავებულ 9 პიროვნებას, ეროვნებით თურქებს, „სირიის სპეცსამსახურებთან დაკავშირებულ ტერორისტულ ორგანიზაციებთან“ ჰქონდათ კავშირი .

თურქეთის პრემიერ–მინისტრმა ერდოღანმა განსხვავებული ვერსია წამოაყენა. მისი განცხადებით, ტერაქტის უკან სირია იდგა, რადგან თურქეთი ბოლო პერიოდში ქურთ ბოევიკებთან (ქურთების მუშათა პარტიასთან) ცდილობს კონფლიქტის დარეგულირებას. მან ასევე დაამატა, რომ თურქეთი მხარს დაუჭერდა სირიის თავზე დახურული საფრენი ზონის შექმნას. ამგვარი მოსაზრება ამერიკელი კანონმდებლების მიერ იქნა განხილული აშშ-ს მხრიდან ბაშარ ალ-ასადის რეჟიმზე ზემოქმედებისათვის. თურქეთში აშშ-ს ელჩმა ფრენსის რიკიარდონემ დაგმო მომხდარი ფაქტი და თურქეთის მხარეს დამნაშავეების დასჯისკენ მოუწოდა.

ქალაქ რიჰანიიაში განხორციელებული აფეთქების შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტი თურქეთის პრემიერ მინისტრს შეხვდა. „ჩვენ ვცდილობთ პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადზე გავლენა მოვახდინოთ და გავაძლიეროთ ზეწოლა. ვმუშაობთ სირიის ოპოზიციასთანაც. აშშ-ს სირიაში მშვიდობის დასამყარებლად საერთაშორისო პარტნიორების დახმარება ჭირდება. სირიაში არსებული რთული და მძიმე სიტუაციის გადასაწყვეტად ჯადოსნური ფორმულა არ არსებობს”- განაცხადა ობამამ. აშშ-ს პრეზიდენტმა რიჰანიიაში დაღუპულების ოჯახებს თანაგრძნობა გამოუცხადა და დაამატა, რომ აშშ და თურქეთი მზად არიან ერთობლივად ეომონ ტერორიზმს.

სიტუაცია ასევე დაძაბულია სირია–ლიბანის საზღვარზე.

სირიის არმიას, ჰიზბ ალლაჰის მებრძოლებსა და აჯანყებულებს შორის შეტაკება მოხდა ქალაქ ქუსაირთან ახლოს, ლიბანის ბექაას დაბლობიდან 10 კმ-ის დაშორებით. გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაღუპულთა შორის იყო ჰიზბ ალლაჰის ოფიცერი ფადი ალ-ჯაზზარი. ადრე ის ისრაელის ციხეში იხდიდა სასჯელს, შემდეგ კი ებრაელი მძევლების განთავისუფლების სანაცვლოდ გაათავისუფლეს. სირიის სამხედრო თვითმფრინავებმა ქუსაირი დაბომბეს,აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ქალაქს სირიული ტანკები და არტილერია უტევდა, ხოლო ჰიზბ ალ-ლაჰი ნაღმმტყორცნებით და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებით სამხრეთიდან და დასავლეთიდან ახორციელებდა დარტყმებს. მრავალი მოქალაქე დაიღუპა დაბომბვის შედეგად. ეს რეგიონი, რომელიც მდინარე ორონტთან მდებარეობს, სირიის სამოქალაქო ომის დროს სუნიტურ და შიიტურ სოფლებად დაიყო.

სირიის არმიის მხრიდან ქუსაირზე შეტევა მიზნად ისახავს ქალაქის დაპყრობას, რადგან იგი სტრატეგიული მნიშვნელობის არის. ქუსაირი ლიბანთან საზღვარზე მდებარეობს და დამასკოს ხმელთაშუა ზღვასთან აკავშირებს.

სირიის კონფლიქტის ფონზე ლიბანში, ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ტრიპოლიში ექვსი ადამიანი დაიღუპა და 40 დაიჭრა. ბრძოლა ბაბ ალ-თაბანათისა (ძირითადად სუნიტებით არის დასახლებული) და ჯაბალ მუჰსინის (ალავიტებით დასახლებული) რაიონების მოსახლეობას შორის მოხდა.

გამოყენებული წყაროები:

http://www.almasryalyoum.com/node/1711721
http://www.jpost.com/Defense/Syria-Israel-strikes-are-a-declaration-of-war-312106
http://www.aljazeera.net/news/pages/a6c4ea2f-918b-45e9-b0ed-cabc46773fac
http://www.jpost.com/International/Obama-pushes-for-Syria-talks-but-warns-of-huge-challenges-313067
http://www.almasryalyoum.com/node/1742751
http://www.jpost.com/Defense/If-Assad-reacts-to-Syria-strike-Israel-will-retaliate-313265
http://todayszaman.com/news-316291-.html
http://www.aljazeera.net/news/pages/69cca7e1-aba8-460f-8467-2b24680cb3da
http://www.jpost.com/Middle-East/Russia-says-Syria-agrees-in-principle-to-conference-314256
http://www.aljazeera.net/news/pages/96964a51-4801-4cd6-a712-0cbf165658af
http://www.jpost.com/Middle-East/Explosions-shake-Turkish-town-on-Syria-border-312823
http://todayszaman.com/news-315190-damascus-denies-responsibility-for-car-bombs-in-turkey.html
http://todayszaman.com/news-315653-.html
http://www.aljazeera.net/news/pages/46be886f-932e-478e-ab1a-f12d4e4fb0d8
http://www.jpost.com/Middle-East/Syrian-army-Hezbollah-kill-more-than-30-in-border-fighting-313624
http://www.jpost.com/Middle-East/Three-killed-during-Syria-related-clashes-in-Lebanon-313878
http://www.almasryalyoum.com/node/1773986